“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№5 (295)
მაისი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

არ კმარა, 14 აპრილს რომ გავიხსენებთ!

საჭიროა თუ არა ქართული ენის ცოდნა? – ასეთი კითხვა რომ დავსვა, გაგიკვირდებათ, ეს რა იკითხა ამ კაცმაო... მართალიც იქნებით!...

2015 წელს მიღებული იქნა „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. დიდი ბრძოლა დასჭირდა ამას, 30 წელზე მეტი. „ყოვლისმცოდნენი“, დასავლური კულტურის მოტრფიალენი, გვიმტკიცებდნენ, არ არისო საჭირო ენის კანონი და მაგალითად ინგლისი მოჰყავდათ...

ასეთი ფაქტი ვიცი: ინგლისის პრემიერ-მინისტრმა, გორდონმა, სამძიმრის წერილი გაუგზავნა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს. წერილი ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში; ენობრივი შეცდომები იყო დაშვებული და ერთი ამბავი ატეხეს... პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში; განმარტა, ძლიერი ემოციების გამო შეცდომები ვეღარ შევამჩნიეო...

ცხადია, ასეთ ქვეყანაში კანონი არ არის საჭირო, ისეთ დონეზეა პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის მიმართ... ჩვენთან? – ჩვენთან ასე ხდება: ცნობილმა პარლამენტარმა ერთ სატელევიზიო კომენტარში სამჯერ თქვა „გახარიის გადაგომა“... ცოტა ხანში იგი დააწინაურეს...

ჰოდა მივიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ... შედეგი? – არც არაფერი... ფაქტებს შეგახსენებთ: ბოლო ათწლეულებში ტარდება კვლევები: როგორ ფლობენ ჩვენი ახალგაზრდები ქართულ ენას, იციან თუ არა წერა-კითხვა და ა.შ. მწერალმა კოტე ჯანდიერმა ისაუბრა ტელევიზიით: ათიოდე წლის წინათ 150 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებს გავეცანი, გამოიკვეთა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის მშობლიური ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალი იყო. ანუ, 150 ქვეყნიდან ბოლო ათეულში ვიყავით; ჩვენ გვერდით ისეთი ქვეყნები იყვნენ, რომელთა სახელებიც კი არ გამიგიაო. ათი წლის შემდეგ, საერთაშორისო კვლევის შედეგებით კვლავ დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ უკეთესი შედეგი არც ახლა გვაქვს, ისევ ბოლო ათეულში დავრჩით, ერთი ნაბიჯი წინ ვერ გადავდგითო.

ახლა კონკრეტულად ჩვენი (შიდა) კვლევის შედეგებს გაგაცნობთ: რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტმა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე პირველკურსელებთან გამოკითხვა მოაწყო. აღნიშნული კვლევა ოქტომბერში ჩატარდა, ანუ იმ დროს, როცა ეროვნული გამოცდები სტუდენტებს ორი თვის ჩაბარებული ჰქონდათ. გვაინტერესებდა მათი ცოდნის დონე ქართულ



ენასა და ლიტერატურაში. დავალება მივეცით, გამოეცნოთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა რომელ ბრუნვასა თუ რიცხვში იყო. კატასტროფული შედეგები მივიღეთ. სტუდენტებმა, რომლებმაც ორი თვის წინათ ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები მიიღეს და პრესტიჟულ ფაკულტეტებზე მოხვდნენ, ვერ ამოიცნეს, რომელ ბრუნვაში იყო სიტყვა. ეს კატასტროფაა! სკოლაც პასუხისმგებელია და გამომცდელიც...

რაც შეეხება ლიტერატურას. აქაც საგანგაშო შედეგებია. საკმაოდ მარტივი შეკითხვები დავსვით. ჩემს დროს ახალგაზრდებისთვის ასეთი კითხვები რომ დაესვათ, შეურაცხყოფად მივიღებდით. მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ რომელ საუკუნეში დაწერა პოემა „აჩრდილი“. გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტმა კითხვას სწორად ვერ უპასუხა – მეშვიდედან მოყოლებული ყველა საუკუნე დასახელდა!.. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სტუდენტებმა ნაწარმოებების შინაარსი არ იციან, თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“. მაგალითად, დავსვით კითხვა: რომელი ქვეყნიდან არიან როსტევანი, ტარიელი, ავთანდილი... პასუხები გამაოგნებელი იყო. ეს არ არის მხოლოდ სკოლის პრობლემა; ეს ეროვნული გამოცდების პრობლემაცაა და უმაღლესი სასწავლებლისაც! ვერ ვიტყვი, რომ ეროვნულ გამოცდებზე შეფასება არაობიექტურად ხდება, მაგრამ პრობლემა საგამოცდო კრიტერიუმებშია. ეროვნულ გამოცდებზე ისეთი მოთხოვნებია, რომ ბავშვმა შეიძლება საერთოდ არ წაიკითხოს შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და უმაღლესი შეფასება მაინც მიიღოს. არადა, ეროვნული გამოცდების პროგრამების მიხედვით, ამ ყველაფრის ცოდნა აბიტურიენტს მოეთხოვება... რეალურად ასე არ ხდება...

როცა 2004 წელს ხელისუფლებამ განათლების სისტემაში რეფორმების გატარება დაიწყო, ითქვა: საგანგებოდ, მიზანმიმართულად ხდება განათლებისა და მეცნიერების დონის დაცემადაქვეითება, რომ გათანაბრებოდა ეკონომიკის დაბალ დონეს და ჩვენთვის მოენიჭებინათ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი... ეს კი საჭირო იყო იმისათვის, რომ დასავლეთიდან შემოსულიყო დახმარებები, გრანტები... ხოლო ეს კორუფციის წყაროდ იქცეოდა და... და აშენდებოდა „დიდი კაცი“ (აშენდნენ კიდეც!), განათლების მინისტრის – ლომაიას – ერთ-ერთმა იდეოლოგმა ისიც კი თქვა, სახელმწიფო ენა ჩვენთან ინგლისური უნდა იყოსო....

და ამგვარ ინტერესებს შეეწირა დედაენა...

სხვა რა ვქნათო, იმართლებს თავს ჩინოვნიკი: – მივიღეთ კანონი (2015 წ.); შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (2017 წ.); მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო ენის განვითარების სტრატეგია (2022 წ.)... და...

და არ გადადგმულა არცერთი ნაბიჯი ქართული ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში... არადა კანონის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ესაა (სწავლების პრობლემების მოგვარება!)... ამისთვის კანონის შესაბამისად შეიქმნა დეპარ-



ტამენტიც (ძირითადად); ამაზეა ჩივილი სტრატეგიაშიც...

ქაღალდზე ყველაფერი კარგადაა... რეალურად? – ყველაფერი ისევ ისე ცუდადაა!..

იქნებ მისწვდეს ეს ხმა იმას, ვისაც ევალება კანონის შესრულებაზე ფიქრი და ზრუნვა...

თორემ ხვალ უარესი მდგომარეობა გვექნება...

სახელმწიფო ენა შველას ითხოვს სახელმწიფოსაგან!

არ კმარა, 14 აპრილს რომ გავიხსენებთ ქართულ ენას და „ვზეიმობთ“... ნამდვილად არ კმარა!

გიორგი გოგოლაშვილი,
პროფესორი,
იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების
თავმჯდომარე

თემურ ჭანნაკია

***

როცა რომ ხმა უნდა ამოგვეღო,
გვექუხა, – ჩვენ ბევრჯერ გავირინდეთ!
და მტერმა მიზანში ამოგვიღო,
ქვეყანა დაიქცა, გავერანდა.

ყველგან რუსმა ბოძი სადაც ჩაფლო,
ხვალ-ზეგ არ იდგება აღარცერთი,
საქართველო არის სამაჩაბლო!
საქართველო არის აფხაზეთი!

თოფები და ხმლები მოვისროლეთ,
დაგვენგრა სახლები და ვერანდა,
როცა კორძიანი მონის სული,
სიმამაცით უნდა გაგვერანდა...

ლორე დავკარგეთ და ზაქათალა,
ჩვენი ართვინი და არტაანი...
ეჰ, ის ოქროს ხანის საქართველო,
ფუჭი ოცნება და ნატვრა არის.

გაცვლა იყო ეს თუ... გაჩუქება?!
უკვე წელიწადი ასიც ხდება...
გვჭამენ რუსები და სელჩუკები,
სისხლში უსაშველოდ ასიცხდება.

ვისთვის რომელია შაითანი...
რუსეთს ვჭირდებით თუ ამერიკას.
„ჩვენვე გვეყუდნესო ჩვენი თავი“,
ვწუხვარ, არ გამოდის აგრერიგად.

იქნებ ყველაფერი მოგველანდა,
მინდა მჯეროდეს, რომ
გადავრჩებით,
ერში ასე როგორ მოგვიმრავლდნენ
მამათმავლები და ალქაჯები.

სად იყო ამდენი შარლატანი?
ამდენი მანქურთი და რენეგატი?
ღირსება რომელ წყალს გავატანეთ...
გვესმის ყველა მხრიდან ნეგატივი.

დრომ უცხო ტალახში ამოგვსვარა,
სიკვდილმა უგულოდ გამოგვთიბა,
ყველანი დავეძებთ გამოსავალს
და მხოლოდ წყობიდან
გამოვდივართ.

წიგნის ჭეშმარიტება

ამირან ჯმუხაძე

გივის ძალიან ადრე გაეღვიძა, თვალებზე ხელი მოისვა, დაამთქნარა, ლოგინიდან ნელ-ნელა წამოდგა, ფარდა გადასწია და ფანჯარაში გაიხედა. შემდეგ ცას ახედა. მოღრუბლული ამინდი იყო. უცბად გაახსენდა თუ რა დღე იყო დღეს. როგორც იქნა, დიდი წვალებისა და ნერვიულობის შემდეგ, მოესწრო იმ დროს, როცა ახერხებდა თავისი მოთხრობების კრებულის გამოცემას. არადა, რამდენი ტანჯვა და უძილო ღამეები გადაიტანა, რომ ეს დღე დამდგარიყო. ოჯახის წევრები ამის გამო სულ ამცირებდნენ, დასცინოდნენ, პირდაპირ ეუბნებოდნენ, რად გინდა ეს კრებული, რას გაძლევს, ამით ოჯახს რა შეემატებაო. ამ ფრაზებით ძირითადად სულ მეუღლე მიმართავდა, ეუბნებოდა, – მთავარია მატერიალურად უზრუნველყო ოჯახი და არა რაღაც სულელური აკეთოო... არადა გივის აწყობდა მათი გამოწვევები, მაგრამ გულში იკლავდა ყველაფერს, საჭიროდ არ თვლიდა, რომ მათთან ეკამათა, რადგან ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს გააგებინებდა. მოკლედ, დიდი დავიდარაბის შემდეგ, მისმა მოთხრობების კრებულმა დღის სინათლე იხილა. ძალიანაც უხაროდა, მაგრამ წიგნის პრეზენტაცია ძალიან აღიზიანებდა, რადგან, ზოგადად, ხალხმრავლობა და აჟიოტაჟი არ უყვარდა, უფრო მარტოობას და ცალკე ყოფნას ამჯობინებდა. თუმცა, შინაგანად გრძნობდა, რომ ეს ბარიერი უნდა გადაელახა, თანაც ყველაზე უფრო რამაც გაანერვიულა და გააწვალა, თანხის შოვნა იყო. ვისთან არ მივიდა, ვის არ შეევედრა, მაგრამ ყველა უარით ისტუმრებდა. გაიცინებდნენ, ხელს ჩაიქნევდნენ, რა დროს ხელოვნებააო, ეტყოდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. მეტი გზა რომ აღარ იყო, გარისკა და ბანკიდან სესხი აიღო. ოჯახისგან ბევრი საყვედური მოისმინა, მაგრამ მაინც გაუძლო ყველაფერს და შედეგმაც არ დააყოვნა.

გივი ფიქრისაგან გამოერკვა, ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა, წყალი აადუღა და ყავა დალია, შემდეგ საათს დახედა. უკვე დილის რვა საათი იყო. წიგნის პრეზენტაცია კი, საღამოს ხუთ საათზე იყო დანიშნული. ეს რომ წარმოიდგინა, მაშინვე ანერვიულდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ამასობაში, მეუღლეც შემოვიდა, გივის შეხედა, ამოიხვნეშა და ხელი ჩაიქნია.

– რა იყო, ქალო, რა გემართება, დღეს მაინც შეიკავე თავი. ხომ იცი, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია?!

– რამდენჯერ უნდა გითხრა, რაც გინდა ის გიქნია, მაგრამ რაღა ამ გაჭირვებულ დროში მოგინდა წიგნის გამოცემა, ხომ იცი, როგორ გვიჭირს, შენ კი ფული რაღაც უაზრობაში გადაყარე, ჩვენ კიდევ ვალი გვინდოდა?!

– ეჰ... გამაგიჟებ რა... წიგნებს გავყიდი და ოჯახსაც შევეშველები. ამაზე ნუ დარდობ!

– რა უნდა გაყიდო, კაცო, ეხლა, ამ დროში, წიგნი ვის რად უნდა!

– ამას შენ ვერ გაიგებ, – დაცინვით მიუგო გივიმ.

– კარგი ერთი, რას მეუბნები, ოჯახს მიხედე, ოჯახს! მარტო შენს თავზე ნუ ფიქრობ! ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება!

– ხო, მეც ეგ მინდა, მაგრამ რაღაც არ მჯერა, რომ წიგნები გაგეყიდება.

– ეჰ, ჩემო კარგო ლალი, რა შორს ხარ. კაცი როცა ცოლის მოყვანას დააპირებს, მომავალი მეუღლის ინტელექტი უნდა შეამოწმოს. ხელოვნებას თუ არ სცემს პატივს, ჯობია არ მოიყვანოს. ამას ძალიან გვიან მივხვდი, მაგრამ ახლა რაღა დროსია!

– ვაი შენს პატრონს. მეც სულელი ვარ, შენისთანა კაცს რომ გავყევი ცოლად, ისეთ კაცებს ვუყვარდი, იმათ ხელში დედოფალივით ვიქნებოდი.

– კარგი, გეყოფა ლალი. წადი, წადი, შენს საქმეს მიხედე. უნდა იცოდე, ცხოვრება მარტო ფულით არ იწონება, ეს შეიგნე, მაგრამ შენ რა შეგცვლის, ქალი უკვე ორმოცდაათს გადაცდი; აწი რაღა მოგეთხოვება!

ამის გაგონებაზე, ლალიმ თავი ჩაღუნა და სამზარეულოდან უსიტყვოდ გავიდა. გივი კი მოიღუშა და ჩაფიქრდა. რაღაც კუთხით, მისი მეუღლე მართალი იყო იმით, რომ კაცმა ოჯახი მართლაც პირველ ადგილზე უნდა დააყენოს, მაგრამ ხელოვანი ადამიანისთვის ეს მეტად ძნელი და მძიმე საქმეა. კაცი ან იქით უნდა იყოს, ან აქეთ. მოკლედ, ან მიწის უნდა იყოს, ან ცის. არადა, ცხოვრება ათას მახეს უგებს ადამიანს! – გაიფიქრა გივიმ და კვლავ წიგნის პრეზენტაციაზე გადაიტანა ფიქრი. ნეტავი როგორ ჩაივლის ეს დღე, გაიყიდებაო წიგნები? რატომღაც გულის სიღრმეში ამის იმედი ჰქონდა, მისი მოთხრობები ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება და ხალხი, ასე თუ ისე, იცნობს. მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს და, თანაც, ყველა ნორმალურ ადამიანს ხანდახან ეჭვის ჭია უღრღნის გულს.

მოკლედ, ოთხ საათამდე სულ მოუსვენრად იყო. ხან ვის დაურეკა და ხან ვის. ყურადღების გადატანა უნდოდა, მაგრამ პირიქით, უფრო ნერვიულობდა, შფოთავდა და ღელავდა. დამამშვიდებელი აბებიც დალია, თუმცა, მაინც ვერ იგრძნო შვება. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნერვიულობდა. არადა ის უკვე იმ დარბაზში უნდა ყოფილიყო, სადაც პრეზენტაცია ტარდებოდა. იქ ყველაფრის მოსაგვარებლად უახლესი მეგობარი მიავლინა, თვითონ კი, სახლში ყოფნა ამჯობინა. როგორც იქნა გივი ლაზათიანად გამოეწყო და გარეთ გავიდა. სიარულის დროსაც ბევრს ფიქრობდა იმაზე, თუ რას ეტყოდა დამსწრეებს. წარმოსახვით თხზავდა პასუხებს მომავალი საუბრისთვის, ამზადებდა ლამაზ სიტყვებს, რომ შეკითხვის შემთხვევაში, პასუხი გაეცა მათთვის

ცოტა ხანში მიაღწია ავტობუსის გაჩერებას. იქაც ბოლთის ცემას მოჰყვა. ორიოდე წუთში ის ავტობუსი გამოჩნდა, რომელიც მას აწყობდა, დაახლოებით ათ წუთში მეტრო სადგური „სარაჯიშვილი“ გამოჩნდა. აქედან უნდა გადამჯდარიყო სხვა ავტობუსში, რომელიც მეტრო „დიდუბის“ ახლოს უნდა გაჩერებულიყო. ცოტა ხანში სასურველი ავტობუსიც გამოჩნდა, კარის გაღებისთანავე ავიდა და მძღოლს ჰკითხა: ავტობუსი გაჩერდებოდა თუ არა მეტრო სადგურ „სარაჯიშვილთან.“ დაბნეულმა მძღოლმა სათვალე ჩამოიწია, გაკვირვებულმა შეხედა გივის და წყნარი ტონით მიმართა: შე კაი კაცო, ჩვენ უკვე მეტრო „სარაჯიშვილთან“ ვართ და თქვენ, ეტყობა, რაღაც გეშლებათ! მძღოლის სიტყვებზე გივი გამოერკვა და ხმა ვერ ამოიღო, წინა სკამებზე მჯდომი ლამაზი შეხედულების ქალბატონები შენიშნა, ისინი გემოვნებით ჩაცმულები იყვნენ. გივის საუბრის მოსმენისას ერთმა ქალბატონმა მეორეს ჩუმად გადაულაპარაკა: – ვაი, ამის პატრონს, მეტროს სადგურები ვერ გაურჩევია და ასეთი გამოშტერებული კაცი ოჯახში რაღა იქნებაო. მათ ეგონათ, რომ ამ სიტყვებს გივი ვერ გაიგონებდა. მაგრამ, ხმაურის მიუხედავად, მან მშვენივრად მოისმინა მათი ლაპარაკი. მაშინვე დანაღვლიანდა, მხრებში მოიკეცა. მძღოლთან მივიდა, ბოდიში მოუხადა და თან ძალიან დაბალი ხმით მიმართა: ჩაფიქრებული ვიყავი და დაბლა დახარა თვალები. გივის გამბედაობა არ ეყო, საპასუხო რამე რომ ეთქვა, ან რაღაც ეღონა. არადა, გაურკვევლობას სიკვდილი ერჩივნა. ბოლოს ძალა მოიკრიბა და ქალებს გადახედა. გივიმ შეამჩნია, რომ მათი თვალებიდან დამცინავი სხივი გამოკრთოდა. გივი კი გულში საკუთარ თავზე ბრაზობდა, რა სულელურად მოიქცა, რამ ათქმევინა ასეთი სისულელე, რომ ამ უტიფარი ქალების დასაცინი გახდა და იმ წუთს დაეუფლა სიცარიელისა და განდეგილობის შეგრძნება.

ავტობუსი კი წყნარად და მშვიდად მიდიოდა. გივი კვლავ იმ ქალებს უყურებდა და თან ფიქრობდა, რა მომხიბლავები არიან და, ღმერთო, საიდან ამდენი ბოღმა? კაცი შეცდა, რაღაც, მისდა უნებურად, წარმოთქვა და ესენი კი, მაშინვე დაცინვაზე გადავიდნენ, საოცარი, თანაც ძნელი ყოფილა ცხოვრება, ნორმალური ადამიანის პოვნა ჭირს, ეს კი მისნაირი სათუთი სულის ადამიანისთვის, აუტანელი იყო. იცხოვრო და ნორმალურ კაცს და ქალს ვერ შეხვდე – ეს, ალბათ, ბედის ირონიაა, მაგრამ, ფილოსოფიურად რომ ვიმსჯელოთ, რაც მოსახდენია, ის უნდა მოხდეს. მთიდან უბრალო ქვაც რომ ვარდება, ისიც კი კანონზომიერია, ამ ფიქრებში იყო გართული, როცა ავტობუსი მეტრო „დიდუბესთან“ გაჩერდა. გივი გამოერკვა და ჩასვლა გადაწყვიტა. ის ორი ქალბატონიც ჩავიდა. მათ გივის გაასწრეს და უკან მოიხედეს. მერე ერთმანეთს შეხედეს და ერთმა, სპეციალურად, გივის გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა: – ნეტავი სად მიდის ეს იდიოტი, კიდევ ვის გააბედნიერებს თავისი აზრებით!

ამის გაგონებაზე გივი სახეზე წამოწითლდა, კვლავ ნერვები მოეშალა, ძალა მოიკრიბა და გადაწყვიტა მისულიყო მათთან და საკადრისი პასუხი გაეცა. მაგრამ, რატომღაც, კვლავ თავი შეიკავა, არ უნდოდა ეს დღე ჩამწარებოდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, შემოტრიალდა და ქუჩას გაუყვა.

რაც უფრო უახლოვდებოდა შენობას, სადაც მისი წიგნის პრეზენტაცია უნდა ჩატარებულიყო, კვლავ ნერვიულობამ აიტანა, არადა, ბედი არ გინდა? მაინც და მაინც ამ დღეს გაანერვიულა ამ ორმა ქალმა, მათმა დაცინვამ სულ გადარია. კი, მართალია, ინანა რომ არ უპასუხა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ამის გაფიქრებაზე ხელები გაასავსავა. შემდეგ ცას ახედა, მისდა გასაკვირად, ღრუბელი აღარ ჩანდა, საოცრად ლურჯი და კამკამა იყო. ამან თითქოს დაამშვიდა, ცოტა დაწყნარებულმა განაგრძო გზა და მალე უკვე დანიშნულ ადგილას იყო. შენობასთან ხალხი შენიშნა, ისინი ჯგუფჯგუფად იდგნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. მათ როცა მწერალი დაინახეს, ლაპარაკი შეწყვიტეს და თავაზიანად დაუკრეს თავი, რასაც გივიმ იგივე მოძრაობით უპასუხა. ცოტა გაიარა, შენობის კარი გამოაღო და წინ თავის მეგობარს შეეფეთა, რომელსაც ეს საღამო უნდა წაეყვანა, მან გივის ხელკავი გამოსდო, დარბაზისკენ გაუძღვა და ხმადაბლა მიმართა:

– ხომ არ ნერვიულობ, ჩემო გივი?!

– შენ როგორ ფიქრობ ანზორ, ასეთ დროს მშვიდად და წყნარად ვიქნები?!

– კარგი ერთი, ამაზე მეტი სანერვიულო არ მოგცეს ღმერთმა, კი არ უნდა განიცდიდე და ნერვებს იშლიდე, არამედ, პირიქით, უნდა გიხაროდეს, ასეთი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი დღეა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამოგეშვა შენი კრებული, შენი სიტყვა ხომ უნდა გეთქვა, რით ხარ სხვებზე ნაკლები, მე აქ შეკრებილი ხალხის განწყობას რომ ვაკვირდები, ვგრძნობ და ვხვდები, რომ ეს დღე წარმატებით ჩაივლის და შენც კმაყოფილი დარჩები, შენი ოჯახიც და, რა თქმა უნდა, ჩვენც, ანუ შენი მეგობრები და ახლობლებიც!

– ეჰ, ჩემო ანზორ, დიდი მადლობა, რომ მამშვიდებ, მაგრამ, ხომ იცი, ასაკს უდიდესი ძალა ჰქონია, სიბერე კი ფასს უკარგავს ყოველგვარ გრძნობას, ყველაფერი უფერულდება, გეჩვენება, რომ კარგავ ახალგაზრდობის ძალას, ვნებას და ჟინს?!

– რა პესიმიზმი შეგყრია, ჩემო მეგობარო. მოიშორე ეგ აზრები, რა დროს შენი სიბერეა. მაპატე ჩემო გივი, მაგრამ, ხომ იცი, ვერაფერს გამომაპარებ, რამდენი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, შენ რაღაცით უკმაყოფილო და შეწუხებული ჩანხარ. ეტყობა, აქ მოსვლამდე, ვიღაცამ ძალიან გაგანაწყენა, ალბათ, – დაინტერესდა ანზორი.

– მართალი ხარ, შენ რატომ უნდა დაგიმალო, უბრალოდ, როცა ავტობუსით აქეთკენ მოვდიოდი, ვიღაც მანდილოსნებმა მაწყენინეს. ესაა და ეს, მეტი არაფერი.

– მაინც რაო, რა გითხრეს?

– არაფერი ისეთი, მოკლედ, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ!

– კარგი, მეტს არაფერს გეტყვი, რაც იყო, იყო. წამოდი, დარბაზში შევიდეთ, ხალხი უკვე შენ გელოდება.

გაჩახჩახებულ დარბაზში რომ შევიდნენ, გივის აღტაცების ჩურჩული მოესმა, ყველა იქ დამსწრემ მისკენ მიაპყრო თვალები. ცოტა ხანი გავიდა და აღტაცებაც თანდათან დაცხრა. ის სკამზე ჩამოჯდა და გაქვავებული უცქერდა დარბაზში შეკრებილ ხალხს, პირველ რიგს რომ გადახედა, ჰოი საკვირველებავ, ის ორი ლამაზმანი, რომლებმაც ასე მოუშალეს ნერვები, წინა მდგომ რიგში ისხდნენ. მათაც დაინახეს გივი, ერთი წუთის განმავლობაში გაქვავებული უცქერდნენ და გაკვირვებას ვერ მალავდნენ. შემდეგ, როცა ცოტა გამოერკვნენ, სასწრაფოდ წამოდგნენ და დარბაზის გასასვლელისკენ გაემართნენ. ამასობაში, გივიც გამოერკვა, საფეთქლებში სისხლი მოაწვა და გულმაც გამალებით დაიწყო ცემა. ის წამოდგა, უნდოდა მათ უკან დასდევნებოდა და პასუხი გაეცა ყველაფრისთვის, მაგრამ თავი შეიკავა, მაშინვე თავის ადგილას დაჯდა, ქალებს თვალი გააყოლა და იგრძნო, თუ როგორ ჩაიხშო რაღაც იდუმალი მწუხარება...

ამის მერე, გივიმ ამოისუნთქა და მიხვდა, რომ საღამო უკვე მშვიდად და წყნარად ჩაივლიდა.

რამდენიმე წუთში, წიგნის პრეზენტაციაც დაიწყო...

დებიუტი

ქრისტინე
მახარაშვილი

მე, ჩემი მშობლები და ჩემი სოფელი

ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობ, აქ დავიბადე და გივიზარდე, ჩემი სოფლის მახლობლად სხვა სოფლებიც არის, თან იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ საზღვარი თითქმის არ გააჩნიათ. სოფელში ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველას ერთმანეთზე შესტკივა გული, ჭირშიც და ლხინშიც ერთად არიან. ბევრი ტკბილი, სასიამოვნო და დაუვიწყარი მოგონებები შემორჩა ჩემს მეხსიერებას... ყველა მიცნობს და პატივს მცემს, მე ვგრძნობ ამ ყველაფერს.

აქ დავდიოდი საბავშვო ბაღში, თუმცა სრულად რომ შევკრიბოთ ჩემი საბავშვო ბაღში ყოფნა, ერთი თვეც არ იქნება. სკოლა აქ დავამთავრე, კარგად ვსწავლობდი, ჩემი საყვარელი საგნებიც მქონდა – ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია. ჩემი მშობლების ძალიან მადლობელი ვარ, რომ არა მათი სიყვარული და თანადგომა, მე დღეს ვინ ვიქნებოდი?.. თვითონ ყველაფერს იკლებდნენ, მე რომ არაფერი მომკლებოდა. თუმცა მეც არ მიყვარდა ფულის უაზროდ ფლანგვა და დღემდე ასე გრძელდება. ვაფასებ იმ ყველაფერს, რაც მაქვს და გამაჩნია ამ ცხოვრებაში... მშობლებისაგან ვისწავლე ადამიანების მიმართ სიყვარული, ერთგულება, თანადგომა, უფროსების პატივისცემა, ნდობა, სხვების გასაჭირის გათავისება, ჩემი აზრის ზრდილობიანად გადმოცემა. ცხოვრებაში საკუთარი თავის დაცვა და ყველაზე მთავრი – ფული კი არა, უპირველესად, ადამიანობა ვიწამე. მიხარია, რომ არასდროს არ გავმხდარვარ სხვების გულის ტკენის მიზეზი. შეიძლება, ჩემდა უნებურად, მეც მიწყენინებია ვისმესთვის, ამისთვის ბოდიშს ვუხდი ყველას, ბოდიშის მოხდა არასდროს მერიდებოდა და არც მრცხვენოდა, რადგან ჩემთვის უპირატესი ადამიანი და მასთან ურთიერთობაა. როდესაც სხვა გულს მტკენდა ან მაწყენინებდა, მე მაინც ვცილობდი წყენა გულში არ გამევლო, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, საკადრისი პასუხი რომ გაგეცა ყველასათვის, მაგრამ, მაინც, მაშინვე მიპყრობდა დანაშაულის გრძნობა, მასზე მეტად მტკიოდა გული და, რატომღაც, სინანულით განვიცდიდი, – რატომ გამოვეპასუხე, მეც ხომ იმისნაირი არ ვიყავი?... ხშირად ვცდილობდი უფრო მეტად თავშეკავებულად, დინჯად მოვქცეულიყავი და ყველაფერი დროისა და ღმერთისათვის მიმენდო, ცხოვრება ხომ ერთი დიდი ბუმერანგია... მათ მასწავლეს ღვთისმოსაობა, უფლის რწმენა...

მე ძალიან ვამაყობ ჩემი სოფლითა და ჩემი მშობლებით!...

პოეზია

ჟუჟუნა შაინიძის ლექსები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ქართულ პერიოდიკაში („ლიტერატურული საქართველო“, „ცისკარი“, „განთიადი“, „ენიგმა“, „ჟოროხი“, „ანეული“) იბეჭდება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. დღემდე გამოქვეყნებული აქვს 6 პოეტური კრებული, ერთი რომანი, სამი მონოგრაფია.

არის ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი, მისი ლექსები შეტანილია ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში. ზოგიერთ მათგანზე შექმნილია სიმღერები.

წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში, არის ფილოლოგიის დოქტორი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის მიწვეული პროფესორი.

ჟუჟუნა შაინიძე

დავაგვიანე

ვ. ღლონტის ლექსების კრებულს („სიყვარული“) მაღაზიაში ვერ მივუსწარი...

„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო იღვიძებდა გაზაფხული იაში,
მზე ჰკოცნიდა თეთრ ალუბლებს,
უსათუთეს ლიანებს,
„სიყვარული“ რიგდებოდა და
მე დავაგვიანე...
რიგში იდგნენ ჭაბუკები, თუმც
უმეტეს ქალები,
შეჰყურებდნენ წიგნის თაროს
მომღიმარი თვალებით.
სევდა მწვავდა თვალთა უპეს,
სევდა გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო,
აქაც ბოლო ვიყავი...
რომ მეთხოვა, იქნებ ვინმეს ჩემთვის
რიგიც დაეთმო,
რომელიმე ღვთისმადლიანს იქნებ
მსხვერპლიც გაეღო.
მაგრამ სხვისი სიხარული ხელში
როგორ ამეღო,
სხვისი წილი „სიყვარული“ სახლში
როგორ წამეღო.
„სიყვარული“ დამითმეო, ვისთვის
მეკადრებინა,
სხვისი წილი გრძნობა გულით როგორ
მეტარებინა.
„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის
მაღაზიაში,
ის დღე იყო იღვიძებდა გაზაფხული იაში...
სევდა მწვავდა თვალთა უპეს, სევდა
გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო, აქაც
ბოლო ვიყავი...
და როდესაც მივეახლე კითხვიანი
თვალებით,
„სიყვარულით“ ხელში ლაჟვარდს
შეუერთდნენ ქალები...
შერჩენოდა წიგნის თაროს ერთადერთი
კრებული,
ციცქნა გოგოს ისიც მისთვის ჰქონდა
გადადებული...
მზე ჰკოცნიდა თეთრ ალუბლებს,
ულამაზეს ლიანებს,
„სიყვარული“ რიგდებოდა და მე დავაგვიანე.

წვიმის განწყობისათვის

ახლა გარეთ ვარ და ვსუნთქავ წვიმას,
წვიმის სურნელით მევსება ყელი,
გადამიარეს მხრებზე ღრუბლებმა,
თავზე მევლება ცა წვიმისფერი.
წვიმს. წვიმის ჰანგზე ცეკვავს სამყარო,
მიმოხატული წვიმების ფუნჯით,
ვიცი, ჩემს უფალს მაინც ვუყვარვარ,
ასე ჯიუტიც, ასეთი ურჩიც.
წვიმს. წვიმა მყუდრო, ტკბილი სახლია,
ისე გამათბო წვიმის სიგრილემ,
ალბათ წვეთებმა რაღაც იციან,
ალბათ წვიმებმა რაღაც იხილეს.
წვიმს. ახლა ზეცის კარია ღია,
და ზეცა მღერის წვიმების ენით,
იქნებ არასდროს არ არის გვიან,
კვლავ ერთად ყოფნა ჩემი და შენი.
წვიმს. წვიმა მწველი მზის დობილია
და მზის წყალობით ისე ვივსები,
როგორაც ახლა წვიმის წვეთებით
ივსება ველი, მინდორი, გზები.
წვიმს. წვიმის წვეთშიც მზე იჭვრიტება
და ხნულში ცეკვავს თეთრფეხშიშველი,
და ახლა წვიმა ისე მჭირდება
როგორც ბრძოლაში ხმალი შიმშერი.
წვიმს. ვიღაც მადგას თავზე გუგუმით,
სულის ძაფამდე ვარ გალუმპული,
ნაშალოს იქნებ წვიმამ უგნური
რისხვა და წყევლა ამ საუკუნის.
წვიმს. წვეთი მწველი მზის ყვავილია,
ასე მზისფერად მიტომ ნარნარებს,
ჩვენც ყვავილებად ვიქცევით მერე,
მზის ყვავილებად და ცის ბაღნარებს
შემოვენთებით, როგორაც წვიმა
ზღვიდან ზეცამდე ბილიკებს სერავს
და გულდამსკდარი მიწის ჭრილობებს
გამთელებამდე ლამბავს და კერავს.
წვიმს. მეც ამ წვიმის ერთი წვეთი ვარ,
მეც წვიმასავით ვცეკვავ და ვმღერი,
გადაღებამდე ვიქნები წვიმა
და წვიმის შემდეგ აღარაფერი.

მზის შემგროვებელთათვის

გზად მივდივარ და მზეებს ვაგროვებ,
ნეფერტიტამდე მცნობდნენ ტანიტად,
მზე ტიტანებმა ამოაგორეს
ზღვის ლურჯ ტანიდან.
ამოდის ცხრა მზე
ცხრა ზღვის ფსკერიდან,
ცხრავე ცურვილი ოქროს ფურია,
ცხრა მზედ კაშკაშებს ცხრა მზის ფერია,
მაგრამ ნამდვილი დაფარულია.
ცხრავეს ეძახდნენ ოდეს ამონ-რას,
მე ამირანად ვუხმობ ცხრათავეს,
ჯაჭვები ხრავენ ვიდრე ამირანს,
დაფარულია ცხრა მზის სათავე.
ამონ! დაჭრილ სხივს წვეთავს ვაება,
ღრუბლის ფარჩიდან არ ჩანს ყამარი,
ცხრა კუბო ცხრა მზის ბაწარს წაება
და რომელს მიჰყავს მზისკენ თამარი?!
ცხრა მზის სასახლე მიჰყვება გზაწვრილს,
ამონ, ცხრავე მზით შეჰკარ კამარა,
ათასი წლობით ამ გზებზე მაწვიმს,
რომელ გზას მიჰყავს მზისკენ თამარი?!
ამონ, იდუმლად დიდო სინათლევ,
რაც რომ ბრჭყვიალებს, განა ოქროა,
ათასფერებით გზას რომ მინათებს
ამ მირაჟების ციმციმი, ქროლვა.
რომელ გზას, – გზები ისე ბრჭყვიალებს,
როგორაც ცრუ მზე ანათებს ფერდობს,
ღმერთო, რამდენი ცრუ გზით ვიარე,
რომელ მზეს, ანდა რომელ გზას ვენდო.
ო, ეს მზეები, ყალბი მზეები,
თვალს მიჭრელებენ, ჭკუიდან მრევენ,
ნეტავ რომელი (რა დარდს შევები!)
რიგით პირველი თუ რიგით მერვე?!
მხოლოდ ბრჭყვიალი თვალთინათის,
თვალის საამოდ ფრთონვა და ლხენა,
იმ ცხრაში ერთი მზეა დიადი,
იმ ერთს ეკუთვნის ჩემი სიმღერა.
მაგრამ არც ერთთან არის ადვილი,
ვინ მომიქსოვოს მზისგან რიდე მე,
ნეტავ თუ იყო ის მზე ნამდვილი,
რომელს ამონ-რად განადიდებდნენ,
ყალბსა და ნამდვილს არჩევდნენ როგორ,
ჰიმნებს უძღვნიდნენ როცა ამონ-რას...
ზღვა მხარზე კოკით – თებრონე გოგო
ვეშა წყაროსკენ მინარნარობდა.
როდესაც გავჩნდი მზისფერ ნატვრიდან,
მეძახდნენ ყამარს, თამარს, ტანიტას,
არა ამონ-რას, ვუხმობ ამირანს
და მზე ამომყავს ზღვის ლურჯ ტანიდან.

ჭრელი ჩიტებისათვის

გაფრინდება ჭრელი ჩიტი
შავი ჩიტის ბუდისაკენ...
გული ჩემი მიამიტი...
და ცხოვრების მრუდე სარკე...
სულ აღმართის სევდა მჭირდა,
– ვერასოდეს გ ა ვ ი ვ ა კ ე,
მგესლავდა და გულში მჭრიდა
ამ ცხოვრების მრუდე სარკე...
შავ-თეთრ ზღრუბლზე ვდგავარ ახლა,
ვინ ვარ, ან ვის დავეკარგე,
მამწუხრა და მავაგლახა
ამ ცხოვრების მრუდე სარკემ.
რა ამაოდ ვქსოვე რითმა,
რა ამაოდ ვიგლახაკე,
სული ს უ ლ ა ც ვერ გამითბო
ამ ცხოვრების მრუდე სარკემ.
მალე ჩ ე მ ი ჭრელი ჩიტი
გასწევს შავი ბუდისაკენ...
გული ჩ ე მ ი მიამიტი...
და ცხოვრების მრუდე სარკე...

ჯანღებისათვის

მითხარი, რას გარგებს წუხილი,
რაც უკვე იყო და დასრულდა,
რა დელგმა მესიზმრა წუხელი,
მოსმენა წყალსაც რომ არ სურდა.

თუ მხოლოდ წყევლაა წარსული,
აქამდე რით გაძლო ამ სუნთქვამ,
რა გინდა, რა გინდა, ავსულო,
რა გინდა, რა გინდა, ამ სულთან.

ისემც შენ, ვერაფერს გახდები,
მე სხვა ცის ღმერთები მშველიან,
თეთრ მთებსაც ებრძვიან ჯანღები,
და მაინც ტკბილ სევდას მღერიან.

არა გაქვს ჩემს გულში ადგილი,
ვერ ხედავ ღვთის მარჯვნივ მჯდომარეს?!
გასკდება ეს გული ნამდვილად,
იმისი ნათელი რომ არა.

ავ ძაღლსაც, მგლებისგან დაგეშილს,
ყოფნა სურს მთვარის თეთრ უბეში,
არ შედრკე, ფსკერზე არ დაეშვა,
მიიღე ცის სიტყვა ნუგეშად.

თორემ მეც, ლაყუჩებჩალეწილს,
ვის გზასაც დელგმებით ხერგავენ,
წუხელ ცა ჩამექცა თვალებში,
თვალღია სიზმრების მხედვარეს...

თუ ტკივილს ნებდები ადვილად,
რაღა თქვას ღვთის მარჯვნივ მჯდომარემ...
გასკდება ეს გული, ნამდვილად,
იმისი ნათელი რომ არა.

მზის დიდებისათვის

ციდან შრიალით ეშვება ფარჩა,
ანთია ზეცის უქრობი კვარი,
ახლა ნუგეშად ეს შვება დამრჩა,
მზის სადიდებლად მოვმართო ქნარი.
მზეო, შენ ზეცის ლურჯ მტევნებს წურავ,
მე თიხის სურა ვივსები შენით,
და თუ გამწირა ამ გაზაფხულმა,
ვინ დათვრეს შენი მზისფერი წვენით.
ვინღა გიმღეროს ტრფობის სიმღერა,
ან ვინღა გამცნოს ბანით თუ დვრინით,
რომ უშენობით თიხა ირღვევა,
რომ კვლავ მზადაა ეკლის გვირგვინი.
ან თუ სხვა მზის წინ თავი დავღუნე,
ვიღას ახარებ შენ მოსვლის ამბავს,
ხედავ, აგელვებს ვიღაც შავ ჰუნეს
და უშენობის შავ ფერებს ლამბავს.
დადის და შავი მანტიით ხრჩოლავს,
ცარიელ ქუჩებს ზვერავს ავთვალი,
აღარ ეხება მარტოსულ ოლარს,
მხურვალე ბაგე – მზის ანათალი.
დადის შავჩრდილი და მაცლის ღონეს,
მპარავს გაზაფხულს, მავიწყებს ღიმილს
და დამხარხარებს – მზე რომ გეგონა,
ხომ ყოფილაო საბრალო მღილი.
შავ შიშებს მიშენს და ნერვებს შიშველს,
მიკორტნის ძერა – ვერავის ვშველი!
დამფერფლე ბარემ, რომ ისევ ვიშვა
და აღვადგინო დიდება შენი.
ვიცი, შენც მწველი ტკივილით იწვი,
ანდა ვინა თქვა ცეცხლი უკვამლოდ,
მკურნალის მაინც მომმადლე ნიჭი,
თუნდ ერთის კვნესას მაინც ვუწამლო.
თორემ და რაა, ვწერ ობოლ ლექსებს,
ვერ დავემწყემსე სუნთქვას იების,
ეს სილამაზე ან რისთვის შექმენ,
მის ტრფობას თუ არ მაპატიებდი.

საშემოდგომო სალაღობო

აჰა, ეს სიტყვებიც ფოთლებივით
მცვივა გულიდან და თვალებიდან,
მე და შემოდგომა ლოთები ვართ,
ისევ მონატრება დამემართა.
ისევ ცრემლებამდე მაცინებენ,
ზვრებში მობარბაცე სექტემბრები,
მხვდებიან, მკოცნიან, მაცილებენ
ჩემად ნაგულვები ოქტომბრები.
აჰა, ეს ტკივილიც მივაყუჩე,
აფერუმ, ამდენი მოვაფერე,
ლექსებსაც ფოთლებივით მოვაქუჩებ,
ფარდაგად დავუფენ ნოემბერებს.
ფერად ფოთლებივით ქარებს ვატან
უკვე გაყვითლებულ მისამართებს,
მზერას გადამიჭრის ჭრელი კატა,
ეჰეი, რამდენი ვალი მმართებს.
ისე კი ნამდვილად გამიმართლა,
სახე ჭრელ ფოთლებით მოვიხატე,
ისევ შემოდგომა დამემართა,
არადა, შარშან ამ დროს მოვიხადე.
აჰა, ეს სიტყვებიც ფოთლებივით
მცვივა გულიდან და თვალებიდან,
მე და შემოდგომა ლოთები ვართ,
ისევ მონატრება დამემართა.

ზღვის სონეტები

1.
მეც ვიმღვიძარებ შენთან ერთად
მირაჟის ღამეს,
დაისისხლება ლურჯი ველი მწველი დაისით
და თეთრ თოლიებს მზენასვამი
სინაზით მთვრალებს
მოენატრებათ შარშანდელი ვარდი მაისის...
გადაილანდა – მირაჟივით გაქრა ყოველი,
სევდისფერია ეგ თვალები ნადაისარი...
ვერ ხვდები განა – წრიულ გზებით
კვლავ იქ მოვედით,
გუშინ რომ დაჰკარ, მზვაობარო,
შავი ისარი!..
გადაუკივლებს შლეგ სივრცეებს
ლურჯი ალკუნი
და ოქროსფერი თმების ცეცხლით
დაიხანძრები,
თეთრი ბატკანიც მეათასჯერ ჩვენთვის
დაკლული
ცისკენ გვეძახის ცადაწვდილი თეთრი
ტაძრებით...
შენი თვალებიც ტაძარია ცრემლის
სვეტებით,
აანთე სული – ჩასაქრობად არ მემეტები!

2.
ვით ნაწამები ბიბლიური დორ-ჰამიდბარი...
ახლა იმგვარი ამღვრეული გვიდგას
აქ დარი...
მივემართებით, მივიმღვრევით
და მივირღვევით
აღთქმულისაკენ? უფსკრულისკენ?
ზევით თუ ქვევით?
ჩამოძონძილი, ჩაწიხლული,
მშიერ-მწყურვალი...
მაგრამ, ო, მაინც, ჯიუტი და სხივჩაუმქრალი
ჰოი, მამულო, მე ვარ შენი დორ-ჰამიდბარი...
თავის ბედის წინ მიმქროლავი
შმაგი მხედარი...
ღელავს უდაბნო, მოიფრქვევა
ქვიშის ღადარი,
ნაცარშეყრილი, დავსებული ხედვა
და თვალი...
ცრუ მოსეებით, ცრუ ღმერთებით,
ცრუ დაპირებით
ჯერ მხოლოდ ცხელი ქვიშის
მოჩანს აქ ნაპირები...
ამ უდაბნოდან გზის გამკვლევის
ხვედრი ვისია...
შენი ნაპირი ის აღთქმული ოაზისია.

ცხემვანის წმ. გიორგის მამათა მონასტერი



ვახტანგ გურული

(გაგრძელ. დასაწყ. იხ. N4)

3. კრწანისის ტრაგედიის წინა დღე

ერეკლე II-ის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მან არ იცოდა, აღა მაჰმად ხანი საბოლოოდ რომელი მხრიდან შემოუტევდა. ყველაზე მეტად სავარაუდო მაინც სამი მიმართულება იყო:

პირველი. ერევნის სახანოდან ბამბაკის გადასასვლელით მდინარე ხრამზე;

მეორე. აზერბაიჯანიდან მდინარე არაქსზე, ყარაბაღის სახანოს სამხრეთ რაიონებზე, ქალაქ შუშაზე და მდინარე მტკვრის ველზე;

მესამე. არდებილიდან ასლანდუზის გადასასვლელით მდინარე არაქსზე და განჯის სახანოზე. აღა მაჰმად ხანს რომელი მიმართულებაც უნდა აერჩია, ერთი რამ ცხადი იყო: საღაშქროდ დაძრული ჯარის ბაზა აზერბაიჯანში უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, აღა მაჰმად ხანს ჯარის მოძრაობის მიმართულებად უნდა აერჩია: აზერბაიჯანი, მდინარე

მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა გაგზავნილიყო. მაისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე მდინარე თერგის კალაპოტში წყლის დონე ძალზე მატულობდა, ერთადერთი გზა კი სნორედ თერგის ნაპირს მიუყვებოდა.

4. დაგვიანებული გულმოწყალება

1795 წლის 13 სექტემბერს შედგენილი მეორე მოხსენების ბოლოს ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს სთხოვდა, გაეცა უმაღლესი ბრძანება, მიეცა მითითება, როგორ მოქცეულიყო შექმნილ ვითარებაში, კერძოდ:

ა) როცა ერეკლე II დაჟინებით ითხოვდა ჯარის მიშველებას;

ბ) როცა აღა მაჰმად ხანი თანდათან ძლიერდებოდა;

გ) როცა ქართლ-კახეთის სამეფოში აღა მაჰმად ხანის შეჭრის საფრთხე რეალური ხდებოდა.

ივან გუდოვიჩს 1795 წლის აგვისტოს მიწურულს ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის მიერ გაგზავნილი საგანგაშო ინფორმაციის შემცველი წერილები როგორ სწრაფადაც არ უნდა მიეღო, ამ სამი წერილის ერთ-ორ დღეში სანკტ-პეტერბურგში გადაგზავნას ვერ მოასწრებდა და, მით

5. ტრაგედია, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა

რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-მ ივან გუდოვიჩისადმი რესკრიპტს 1795 წლის 4 სექტემბერს მოაწერა ხელი. სანკტ-პეტერბურგიდან რესკრიპტი ადრესატმა გეორგიევსკში 1795 წლის 1 ოქტომბერს მიიღო, თბილისისათვის ცხარე ბრძოლები კი 1795 წლის 11-12 სექტემბერს მიმდინარეობდა. 1795 წლის 1 ოქტომბრისათვის აღა მაჰმად ხანს თბილისი და, საერთოდ, საქართველო კარგა ხნის დატოვებული ჰქონდა.

1795 წლის სექტემბრის დამდეგს აღა მაჰმად ხანის ცხენოსანმა ჯარმა 110 ვერსი გაიარა და აღსტაფას მიაღწია. აღსტაფაში აღა მაჰმად ხანმა მთელი აღალი დატოვა, ასევე ერთი კორპუსი, ყარაბაღის სახანოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, ზურგის დაცვის მიზნით. 35.000 რჩეული მებრძოლით აღა მაჰმად ხანი თბილისისკენ დაიძრა.

1795 წლის 7 სექტემბერს ირანის ჯარი მდინარე ხრამზე, წითელ ხიდთან, დაბანაკდა და მოწინავე საგუშაგოები იალღუჯის მთაზე განალაგა;

9 სექტემბერს აღა მაჰმად ხანმა სოღანლუღი

კრწანისი – საქართველოს ტრაგედია

არაქსი, ყარაბაღის სახანო, ქალაქი შუშა, მდინარე მტკვრის ველი.

ერეკლე II აღა მაჰმად ხანის დასახვედრად გამალებით ემზადებოდა. ამავე დროს, ცდილობდა რუსეთისაგან სამხედრო დახმარება მიეღო. 1795 წლის 29 აგვისტოს მეფემ გარსევან ჭავჭავაძეს შექმნილი ვითარების შესახებ აცნობა:

1. 1795 წლის 29 აგვისტოსათვის ერეკლე II იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და იმერეთის ჯართან ერთად ყაზახში იმყოფებოდა;

2. აღა მაჰმად ხანი არდებილიდან დაიძრა და შუშის ციხეს შემოადგა, ხოლო ძმები ალი ყული ხანი და ჯაფარ ყული ხანი ერევნის ციხის ასაღებად გაგზავნა;

3. სომეხთა პატრიარქი ალი ყული ხანთან თავისი ნებით გამოცხადდა, რომელმაც პატრიარქს 80.000 მანეთი და 9 ფუნტი ოქრო მოსთხოვა;

4. აღა მაჰმად ხანი უკვე ერთი თვე შუშის ციხის აღებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ხნის მანძილზე ირანელებმა დიდი ზარალი ნახეს;

5. აღა მაჰმად ხანმა შუშის ციხიდან 6 მილით დაიხია, დაბანაკდა და თბილისზე სალაშქროდ ემზადებოდა;

6. აღა მაჰმად ხანი ომარ ხანს სთხოვდა, როგორც კი თავად თბილისზე დაიძვრებოდა, ომარი კახეთში შეჭრილიყო;

7. აღა მაჰმად ხანი კახეთზე თავდასხმას ჭარელებსაც სთხოვდა და ჯილდოდ ყოველ ჭარელ მებრძოლს 100 მანეთს ჰპირდებოდა;

8. აღა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარზე გაცილებით დიდი ჯარი ჰყავდა, ამიტომ ივან გუდოვიჩს გაეგზავნა თხოვნა ჯარით (3.000 მებრძოლი) დახმარების შესახებ, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. ერეკლე მეფე გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა, როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს ივან გუდოვიჩისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნა ებრძანებინა.

1795 წლის აგვისტოს მიწურულს ერეკლე II-მ ყარაბაღის ხან იბრაჰიმის წერილი მიიღო. იბრაჰიმ ხანი მეფეს ატყობინებდა: ირანელთა ჯარი და არტილერია შუშიდან თბილისისაკენ დაძრულიყო, ჯარს უკან აღა მაჰმად ხანი მოჰყვებოდა.

იბრაჰიმ ხანის წერილის მიღების შემდეგ, 1795 წლის 30 ან 31 აგვისტოს (ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება), ერეკლე II-მ ივან გუდოვიჩს წერილი გაუგზავნა. მეფე გენერალს შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში აყენებდა:

1. აღა მაჰმად ხანი თბილისს ლაშქრობის დაწყებას აპირებდა;

2. ომარ ხანი კახეთში შესაჭრელად ემზადებოდა;

3. აღა მაჰმად ხანი ჭარელებს კახეთზე თავდასხმისაკენ მოუწოდებდა და ყოველ მებრძოლს ჯილდოდ 100 მანეთს ჰპირდებოდა;

4. განჯის ხანი აღა მაჰმად ხანს მიემხრო;

5. აღა მაჰმად ხანის ძმა ალი ყული ხანი ერევნის ციხის აღებას ცდილობდა. ერევნის ხანმა ალი ყული ხანს მძევლად ცოლი და შვილი გაუგზავნა;

6. თუ რუსეთის ჯარი (3.000 მებრძოლი) ერეკლე მეფეს დაეხმარებოდა, მეფე ერევნის ციხესთან მდგარი ალი ყული ხანის ლაშქარს ადვილად გაფანტავდა, რის შემდეგაც აღა მაჰმად ხანი მდინარე არაქზე ვეღარ გადმოვიდოდა. იმავდროულად, იმერეთის მეფე სოლომონ II-მ ივან გუდოვიჩს წერილი გაუგზავნა და ერეკლე II-თვის ჯარის მიშველება სთხოვა.

* * *

1795 წლის აგვისტოს მიწურულს, ერეკლე II-ის ორი წერილისა და სოლომონ II-ის ერთი წერილის გარდა, ივან გუდოვიჩმა თბილისიდან კიდევ ვისგან და რა შინაარსის წერილები მიიღო, დოკუმენტებიდან არ ჩანს. როგორც ივან გუდოვიჩის მიერ 1795 წლის 13 სექტემბერს შედგენილი ეკატერინე II-თვის წარსადგენი მოხსენებიდან ჩანს, გენერალს რამდენიმე დღის წინ ქართლ-კახეთის დედოფალ დარეჯანის წერილი მიუღია. 1795 წლის 13 სექტემბერს ეკატერინე II-თვის წარსადგენ მეორე მოხსენებაში ივან გუდოვიჩი ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის წერილებს იხსენიებს,

ასევე – ყარაბაღის ხანის მიერ ერეკლე II-თვის გამოგზავნილ წერილს. ასე რომ, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს განსჯისათვის ინფორმაცია საკმაოზე მეტი ჰქონდა. ამ ინფორმაციის საფუძველზე 1795 წლის 13 სექტემბერს ივან გუდოვიჩმა იმპერატორ ეკატერინა II-ისადმი ორი, ხოლო გრაფ პლატონ ზუბოვისადმი ერთი მოხსენება შეადგინა. სამივე დოკუმენტი მეტად საინტერესოა თბილისზე აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის წინა ხანებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის შესასწავლად.

1795 წლის 13 სექტემბრის პირველ მოხსენებაში, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთის ჯარი დამარცხებული, ხოლო თბილისი აოხრებული იყო, ივან გუდოვიჩი რუსეთის იმპერატორს ასეთ ინფორმაციას აწვდიდა: აღა მაჰმად ხანი უკვე განჯაში იყო და მალე ერევანსაც აიღებდა; ირანის ლაშქარი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს უახლოვდებოდა და ქვეყნის განადგურებას აპირებდა; ერეკლე II და სოლომონ II ჯარით ერევნის ხანის დასახმარებლად გაემართნენ; ერეკლე მეფე რუსეთს ჯარით დახმარებას სთხოვდა.

ივან გუდოვიჩი იმპერატორს მოახსენებდა: სანამ აღა მაჰმად ხანი შუშის ციხეს არ აიღებდა და იბრაჰიმ ხანს არ დაამარცხებდა, ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხე არ ემუქრებოდა. მოხსენების დასასრულს კავკასიის ხაზის მთავარსარდალი იმპერატორს გარკვეულ რჩევებს აძლევდა. გენერალი წერდა: თუ იმპერატორი ინებებდა ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნას, ძნელი გადასასვლელების მიუხედავად, ჯარის გადაყვანა გზების შეკეთების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა შემოდგომაზე – აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნოემბრამდე და გაზაფხულზე – აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე. ნოემბერში მთაში აცივება იწყებოდა, ხშირად დიდი თოვლი მოდიოდა, გზაზე საცხოვრებელი ბინები თითქმის არ არსებობდა, არ იყო ცხენების საკვები. ამიტომ ამ დროს (ნოემბერში და შემდეგ) ჯარი

უმეტეს, ეკატერინა II წერილების გაცნობის საფუძველზე უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ნაჩქარევად არ მიიღებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ამას (ივან გუდოვიჩის მიერ გეორგიევსკიდან სანკტ-პეტერბურგში ერეკლე II-სა და სოლომონ II-ის წერილების გაგზავნას, ეკატერინა II-ის მიერ წერილების გაცნობას, გადაწყვეტილების მიღებას და ივან გუდოვიჩისადმი ბრძანების გაგზავნას) სულ მცირე თვენახევარი-ორი თვე მაინც დასჭირდებოდა. 1795 წლის 4 სექტემბერს, სანამ სანკტ-პეტერბურგში ივან გუდოვიჩის მიერ გაგზავნილ ქართველ მეფეთა წერილებს მიიღებდნენ, ეკატერინა II-მ კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან გასაგზავნ რესკრიპტს ხელი მოაწერა. ეს რესკრიპტი არ იყო ერეკლე II-ის მრავალი თხოვნის შედეგი, იგი ირანში განვითარებული მოვლენებითა და რუსეთ-ირანის იმდროინდელი და მომავალი ურთიერთობით იყო განპირობებული. ეკატერინე II იწონებდა აღა მაჰმად ხანის თავდასხმის აღსაკვეთად კავკასიის ხაზის მთავარსარდლის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. ამასთან ერთად, რესკრიპტში აღნიშნული იყო:

1. რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა მისი ვასალი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II;

2. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერების მიზნით რუსეთს უნდა შეესრულებინა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება, რაც გულისხმობდა ორი რუსული ბატალიონის საქართველოში გაგზავნას და ტრაქტატით გათვალისწინებული ზარბაზნების რაოდენობის გაზრდას. რადგან ქართლ-კახეთის სამეფოში მძიმე არტილერიის გადატანა ძნელი იყო, უნდა გაგზავნილიყო საველე ზარბაზნები (ექვსფუნტიანი ზარბაზნები) და ზარბაზნების მომსახურე პერსონალი;

3. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი ბატალიონის გარდა, კიდევ შეიძლებოდა გაგზავნილიყო ორი ბატალიონი ისე, რომ ეს ბატალიონები უაზრო მსხვერპლი არ გამხდარიყო.

1795 წლის 4 სექტემბრის რესკრიპტით ეკატერინა II ივან გუდოვიჩს ავალებდა აღა მაჰმად ხანისათვის ეგრძნობინებინა თუ რა პირობებში მოხდებოდა რუსეთის მხრიდან მისი ირანის შაჰად აღიარება: აღა მაჰმად ხანს პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა კასპიის ზღვისპირა (დერბენტიდან ბაქომდე) ტერიტორიაზე, უნდა შეეწყვიტა რუსეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნების დამორჩილების მცდელობა, პირველ რიგში, ეს ეხებოდა ქართლ-კახეთის მეფესა და ტარკის შამხალს, დერბენტის, ბაქოს, თალიშის, ყარაბაღისა და სხვა ხანებს.

დაიკავა და მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა;

10 სექტემბერს აღა მაჰმად ხანი სოღანლუღიდან თბილისაკენ დაიძრა და დილით, 8 საათზე, კრწანისიდან 2 ვერსის მოშორებით, შეჩერდა. დავით ბატონიშვილმა არტილერიის გამოყენებით ირანელები გააქცია;

11 სექტემბერს ირანის ლაშქარი კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ქართველები თავს მედგრად იცავდნენ. აღა მაჰმად ხანი მზად იყო უკან დაეხია, მაგრამ განჯის ხანმა ჯავადმა დაარწმუნა, ქართველების დამარცხება შეიძლებაო.

12 სექტემბერს, დილის 8 საათზე, აღა მაჰმად ხანი გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვიდა. იმავე დღეს მტერმა თბილისი აიღო, მოსახლეობა გაჟლიტა, ქალაქი გაძარცვა და გადაწვა.

ივან გუდოვიჩს ეკატერინა II-ის რესკრიპტი არა 1795 წლის 1 ოქტომბერს, არამედ 4 სექტემბერსაც რომ ჰქონოდა მიღებული, რუსეთის ჯარის სალაშქროდ მომზადებასა და თბილისამდე ჩამოღწევას სულ მცირე ორი კვირა დასჭირდებოდა... ასე რომ, რუსეთის იმპერატორის მიერ გამოჩენილი გულმოწყალება დაგვიანებული იყო.

6. კრწანისის ტრაგედიამ რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში ვერაფერი შეცვალა

1795 წლის 14 სექტემბერს, აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევიდან ორი დღის შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩს წერილი გაუგზავნა. წერილი დიპლომატიური მიმოწერისათვის მიღებული საყვედურით იწყება. ამაში მოულოდნელი და საკვირველი არაფერი იყო. წერილს მთიულეთში გახიზნული მეფე აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ წერდა. ერეკლე II ივან გუდოვიჩს შეახსენებდა, რომ მან აცნობა აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ, აცნობა ისიც, თუ სად იმყოფებოდა ირანის ლაშქარი. მეფე გულდაწყვეტილი წერდა, რომ რუსეთისაგან დახმარებას ყოველ დღე ელოდა, მაგრამ ამაოდ. წერილის ბოლოს ქართლ-კახეთის მეფე ივან გუდოვიჩს სთხოვდა:

1) სანამ აღა მაჰმად ხანს მთიულეთამდე მიეღწევა, ქვეყანა დაურბევია, ადგილობრივი და ლტოლვილი მოსახლეობა ტყვედ აუყვანია, სასწრაფოდ ჯარი გამოეგზავნათ;

2) სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი, დროშა, ზარბაზნები, საეკლესიო სალარო და სხვა ძვირფასეულობა აღა მაჰმად ხანს ჩაუვარდა ხელში; ირანელთა ტყვეობაში იყო ბევრი ქართველი თავადი ცოლებითურთ, რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) გარსევან ჭავჭავაძის და, ასევე თავად თარხნიშვილების მთელი სახლობა და სხვ. დაბოლოს, მეფე იმედს იტოვებდა, რომ აღა მაჰმად ხანის მოქმედებას რუსეთი დაუსჯელად არ დატოვებდა. ერეკლე II საყვედურით ასრულებდა: რუსეთის ჯარი რომ დამხმარებოდა, სამეფოს გადარჩენა შეიძლებოდაო. ქართლ-კახეთის მეფე ივან გუდოვიჩს აფრთხილებდა: თუ 10-12 დღეში რუსეთის ჯარი არ მიეშველებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს მტერი გააჩანაგებდა. ერეკლე II გენერლისაგან პასუხს სასწრაფოდ ითხოვდა.

1795 წლის 17 სექტემბერს ერეკლე II-მ ივან გუდოვიჩს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა. წერილიდან

→

ბოლო მოქმედების უკანასკნელი სცენა

ირკვევა, რომ 1795 წლის 16 სექტემბერს მეფეს აღა მაჰმად ხანისაგან წერილი მიუღია. ხანი ითხოვდა:

1. ირანში მეფის ერთ-ერთი ძის მძევლად გაგზავნას;

2. თბილისში თავშეფარებული და შემდეგ მთიულეთში გახიზნული ყარაბაღელი ლტოლვილების (ქრისტიანი სომხების) გადაცემას;

3. აზატ ხანისეულ თეთრი ალმასის ქვას, რომელიც ერეკლე მეფეს აზატ ხანის დამარცხების შემდეგ ჩაუვარდა ხელში;

4. ერეკლე მეფისათვის გრიგორი პოტიომკინის მიერ ნაჩუქარ საათს, რომელიც მეფეს სამეფო დივანში ჰქონდა. ამ მოთხროვნების შესრულების შემდეგ აღა მაჰმად ხანი მეფეს 30.000 ქართველი ტყვის გათავისუფლებას, ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების დადებას ჰპირდებოდა. ერეკლე II-ის კატეგორიული თხოვნის მიუხედავად, ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის ბრძანების გარეშე გადაწყვეტილების მიღებას ვერ ბედავდა და ქართლ-კახეთის მეფისათვის აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარის გაგზავნისაგან თავს იკავებდა.

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ერეკლე მეფეს ვერ გადაეწყვიტა, შეესრულებინა თუ არა აღა მაჰმად ხანის მოთხოვნები. თუ მეფე მოთხოვნებზე დათანხმდებოდა, მაშინ, მძევლად თავისი შვილიშვილი, ბატონიშვილი დავით გიორგის ძე უნდა გაეგზავნა.

ხე არსებობდა. ამ დროისათვის ივან გუდოვიჩს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ორი ან ოთხი ბატალიონის გაგზავნის შესახებ ბრძანება უკვე

ტორმა ხელი მოაწერა ივან გუდოვიჩისადმი გასაგზავნ რესკრიპტს. მასში აღნიშნული იყო:

1. კავკასიონის მთები გვიან შემოდგომაზე ჯარის გადასაყვანად და სურსათის გადასატანად ძალზე მოუხერხებელი, რთული იყო. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარი არა 1795 წლის გვიან შემოდგომით, არამედ 1796 წლის გაზაფხულზე გაგზავნილიყო;

2. თუ ქართლ-კახეთის სამეფოში გაგზავნილი ჯარი კავკასიის მთებზე არ გადასულიყო, ორივე ბატალიონი უკან უნდა დაბრუნებულიყო გამოსაზამთრებლად და მხოლოდ 1796 წლის გაზაფხულზე დაძრულიყო თბილისისაკენ;

3. მეფე ერეკლესათვის ჯარის გაგზავნის გადადება უნდა აეხსნათ ორი მიზეზით: მეფემ დარიალიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა არ შეაკეთა; რუსეთის ჯარს ქართლ-კახეთის სამეფოში ნორმალურად გამოზამთრების პირობები არ ექნებოდა;

4. თუ კავკასიის ხაზიდან დაძრულ რუსულ ბატალიონებს უკვე გადაელახათ კავკასიის მთები, ივან გუდოვიჩს ყველა ზომა უნდა მიეღო, რომ ჯარს ნორმალურად გამოეზამთრებინა. ჯარისათვის საცხოვრებლის გამოყოფა აღა მაჰმად ხანისაგან გადამწვარ თბილისში ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ აჯობებდა, რუსულ ბატალიონებს კახეთში გამოეზამთრებინა. ქართლ-კახეთის სამეფოში გაგზავნილი ჯარის შესანახად ივან გუდოვიჩი სასწრაფოდ მიიღებდა 50.000 ოქროს ყუბანელი ეგერების 2 ბატალიონი, გრენადერთა 1 ბატალიონი, ტაგანროგის დრაგუნთა 1 პოლკი, პავლოგრადის მსუბუქი კავალერიის 1 პოლკი, დონის კაზაკთა 2 პოლკი ორლოვისა და კირეევის მეთაურობით და 5 საველე ქვემეხი.

1796 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II გარდაიცვალა. ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა ირანიდან საექსპედიციო კორპუსი უკან გაიწვია. ირანის დასჯის ეკატერინა II-სეული გეგმა ვერ განხორციელდა.

1797 წლის 5 იანვარს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ივან გუდოვიჩმა იმპერატორ პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო. იმპერატორმა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძირეულად შეცვალა. პაველ I-მა რუსეთის უპირველეს მტრად ინგლისი გამოაცხადა, ინგლისთან ომი კი ირანთან და ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას აუცილებელს ხდიდა. 1797 წლის 5 იანვრის რესკრიპტი ივან გუდოვიჩს განუმარტავდა: ოსმალეთს არ უნდა ეფიქრა, რომ რუსეთი მასთან ომის საბაბს ეძებდა.

ამრიგად, პაველ I-ს იმპერიის სამხრეთ საზღვრებთან სრული სიმშვიდე სჭირდებოდა. ირანთან ომი შეწყდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსათვის სავალალო იყო. ერეკლე II აღა მაჰმად ხანის პირისპირ მარტოდმარტო დარჩა.

კასპიის კორპუსი ჩრდილო კავკასიაში, ყიზლარში, დაბრუნდა. კავკასიის კორპუსმა საქართველოში გამოიზამთრა. კორპუსი კავკასიის

* * *

1795 წლის 17 სექტემბერს ერეკლე II-მ ივან გუდოვიჩს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა, რომლიდანაც ირკვევა, რომ 1795 წლის 16 სექტემბერს მეფეს აღა მაჰმად ხანისაგან მეორე წერილიც მიუღია. ხანი პირველ წერილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს იმეორებდა.

მეფის კატეგორიული თხოვნის მიუხედავად, ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ის ბრძანების გარეშე გადაწყვეტილების მიღებას კვლავ ვერ ბედავდა და ერეკლე მეფისათვის აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარის გაგზავნისაგან თავს იკავებდა.

ივან გუდოვიჩი დარწმუნებული იყო, რომ აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღება და ქართლ-კახეთის სამეფოს გავერანება მთლიანად ერეკლე II-ისა და სამეფო სახლის უმოქმედობის გამო მოხდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა: მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ივან გუდოვიჩმა კავკასიის ხაზიდან ერეკლე II-ს ჯარი არ მიაშველა. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში შეიძლებოდა იმის საწინდარი გამხდარიყო, რომ შუშის ციხესთან მდგარ აღა მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის დაწყებაზე საერთოდ უარი ეთქვა. იგი რუსების სისხლის დაღვრას ვერ გაბედავდა, რადგან რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის გართულება და ომის დაწყება მას 1795 წლის შემოდგომაზე ნამდვილად არ აძლევდა ხელს. თუ აღა მაჰმად ხანი თბილისზე მაინც გამოილაშქრებდა, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი მას სათანადო წინააღმდეგობას გაუწევდა. ასე რომ, ივან გუდოვიჩმა რუსეთისათვის სასარგებლო სამხედრო კამპანიაც ჩაშალა. ამიტომ იყო, რომ გენერალი ეკატერინა II-ის წინაშე წინასწარ იმართლებდა თავს და იმპერატორს მოახსენებდა, თქვენი ბრძანების გარეშე ერეკლე II-ს ჯარს ვერ გავუგზავნიდიო.

ივან გუდოვიჩმა ეკატერინა II-ს იმ პირობების შესახებ მოახსენა, რომელიც აღა მაჰმად ხანმა ერეკლე II-ს წაუყენა. წერილში ივან გუდოვიჩი იმპერატორს წერს, თუ რა ურჩია მეფე ერეკლეს ამ პირობებთან დაკავშირებით. პირველი რჩევა, რაც გენერალს მეფისთვის მიუცია, ის იყო, რომ მოლაპარაკება რაც შეიძლება გაეჭიანურებინა. კონკრეტულ მოთხოვნებზე ქართლ-კახეთის მეფეს აღა მაჰმად ხანისათვის ასეთი პასუხები უნდა გაეცა:

1. თუ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებიდან ჯარს გაიყვანდა, მაშინ აზატ ხანისეულ თეთრი ალმასის ქვასა და გრიგორი პოტიომკინის ნაჩუქარ საათს მიიღებდა და ყარაბაღელი სომეხი ლტოლვილებიც გადაეცემოდა;

2. ერეკლე II აღა მაჰმად ხანს მძევალს ვერ მისცემდა, რადგან: ა) ბატონიშვილების ნაწილი სამეფოს სხვადასხვა კუთხეში იყო, ხოლო მათი კონკრეტული ადგილსამყოფელი მეფემ არ იცოდა, ბ) ბატონიშვილების ნაწილი რუსეთში იმყოფებოდა, გ) ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იყო, რის გამოც მეფეს დამოუკიდებლად არ შეეძლო ირანისათვის მძევლის მიცემის საკითხის გადაწყვეტა, მძევლის მიცემა რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით უნდა მომხდარიყო.

ცხადია, ივან გუდოვიჩს სურდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგედიაში არც ეკატერინა II და არც თავად გამოსულიყო დამნაშავე. გენერალი თავის მართლებას და ყველაფრის ერეკლე მეფისა და ქართლ-კახეთის სამეფო სახლისათვის გადაბრალებას ცდილობდა.

1795 წლის ოქტომბრისათვის ივან გუდოვიჩს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის ჯარის მიერ თბილისის აღების შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ. გენერალმა იცოდა, რომ აღა მაჰმად ხანმა თბილისიდან უკან დაიხია, მაგრამ თბილისზე განმეორებითი ლაშქრობის რეალური საფრთხე

მიღებული ჰქონდა. მანამდე მთავარსარდალი ცდილობდა ერეკლე მეფისაგან შეეტყო:

1. სად იმყოფებოდა აღა მაჰმად ხანი;

2. ჰქონდა თუ არა ერეკლე მეფეს რაიმე მოლაპარაკება აღა მაჰმად ხანთან;

3. რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ირანის ჯარი;

4. შეეძლო თუ არა მეფეს რუსეთის ჯარის გადასაყვანად დარიალის ხეობიდან თბილისამდე გზის შეკეთება.

***

აღა მაჰმად ხანის თავდასხმა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე და თბილისის დარბევა რუსეთის პირდაპირი გამოწვევა იყო. თუ აღა მაჰმად ხანი საკადრისად არ დაისჯებოდა, ამას ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება მოჰყვებოდა. 1795 წლის 8 ოქტომბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-ანშეფი ივან გუდოვიჩი ეკატერინა II-ს წერდა:

1. აუცილებელი იყო აღა მაჰმად ხანისათვის ძლიერი დარტყმის მიყენება;

2. ყარაბაღის ხანისა და აზერბაიჯანის სხვა ხანების მიმხრობა;

3. 1796 წლის გაზაფხულზე საქართველოს გავლით აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა;

4. რუსეთის ჯარის მეორე ნაწილი (12 ბატალიონი არტილერიით, დრაგუნთა 30 ესკადრონი, კაზაკთა რაზმი) ირანის შიდა პროვინციებისაკენ 1796 წლის მარტში უნდა დაძრულიყო. ივან გუდოვიჩი იმპერატორს მოახსენებდა: კასპიის ზღვის სანაპიროებიდან ირანის შიდა პროვინციების მიმართულებით დაწყებული ლაშქრობა თუ წარმატებით განვითარდებოდა, მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის მცირერიცხოვანი კონტიგენტი სამეფოს დასაცავად საკმარისი იქნებოდა. ივან გუდოვიჩი 1795 წლის ოქტომბერში ერეკლე II-ს კვლავ არწმუნებდა, რომ განჯასთან მდგარი აღა მაჰმად ხანი თბილისზე მეორედ აღარ გაილაშქრებდა და, ამდენად, ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II-ის მიერ მოთხოვნილი რუსეთის ჯარის (7.000-8.000 მებრძოლი) გაგზავნას საჭიროდ არ მიიჩნევდა. გენერალი ეკატერინა II-ს არწმუნებდა, რომ ერეკლე მეფისათვის ჯარის მცირე კონტიგენტის (2.000 მებრძოლი 6 ზარბაზნით) გაგზავნა საკმარისი იქნებოდა.

1795 წლის 20 ნოემბერს რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი (1.480 ჯარისკაცი და ოფიცერი), კაზაკთა რაზმთან ერთად პოლკოვნიკ სიროხნევის მეთაურობით მოზდოკიდან თბილისისაკენ დაიძრა. ჩვეულებრივი შეიარაღების გარდა, პოლკოვნიკ სიროხნევის განკარგულებაში იყო 6 საველე (მსუბუქი) ზარბაზანი ყუმბარების 2 კომპლექტით. პოლკოვნიკ სიროხნევს მიღებული ჰქონდა ბრძანება, თბილისისათვის გვერდი აევლო, რადგან ქალაქში შესვლა სახიფათო იყო. რუსებს ჰქონდათ ცნობა, რომ თბილისში შეიარაღებული რაზმები დათარეშობდნენ. პოლკოვნიკს ერეკლე II-სათვის უნდა გადაეცა: თბილისი სასწრაფოდ უნდა მომზადებულიყო აღა მაჰმად ხანის მეორე ლაშქრობის მოსაგერიებლად.

რუსეთის ჯარი თბილისთან 1795 წლის დეკემბრის ბოლოს გამოჩნდა. ორი ბატალიონი და 32 კაზაკი, ცხადია, საკმარისი არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ განჯასთან მდგარი აღა მაჰმად ხანი თბილისს კვლავ შემოუტევდა. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II ეკატერინა II-ს დამატებითი ჯარის, 8.000 მებრძოლის, გამოგზავნას სთხოვდა. თავად მეფე 10.000-12.000 მებრძოლის და უფრო მეტის შეკრებასაც ვარაუდობდა. გარდა დამატებითი ჯარისა, ერეკლე II 1.000.000 მანეთის ოდენობის სესხსაც ითხოვდა.

1795 წლის 16 ნოემბერს რუსეთის იმპერა-

ან ვერცხლის მანეთს. გენერალმა ეკატერინა II-ის 1795 წლის 16 ნოემბრის რესკრიპტი თვის ბოლოს მიიღო. ამ დროისათვის რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი თბილისის გვერდის ავლით კახეთისაკენ მიემართებოდა.

აღა მაჰმად ხანი არ ცხრებოდა. აშკარა გახდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შემდეგ იგი არც რუსეთის იმპერიის მფარველობაში ან ქვეშევრდომობაში შესულ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის სახანოებს დაინდობდა. რუსეთის საიმპერატრო კარზე ირანის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმებზე, პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებზე დიდხანს ფიქრობდნენ, ხოლო 1796 წლის თებერვალში ირანში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ექსპედიციის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალ-პორუჩიკი გრაფი ვალერიან ზუბოვი. 1796 წლის 19 თებერვალს ვალერიან ზუბოვმა ეკატერინა II-გან დაწვრილებითი ბრძანება-ინსტრუქცია მიიღო. იმპერატორი წერდა:

1. 1795 წლის შემოდგომაზე საქართველოში გამოგზავნილ რუსეთის ჯარს ახალი ძალები დაემატებოდა;

2. რუსეთის ჯარის დახმარებით მეფე ერეკლეს თბილისსა და ქვეყნის სხვა პროვინციებზე ძალაუფლების აღდგენა უნდა მოეხერხებინა;

3. რუსეთის ჯარით ერეკლე მეფეს ერევნისა და სხვა სახანოები უნდა დაემორჩილებინა;

4. რუსეთის ჯარის მიზანი არამარტო ქართლ-კახეთის სამეფოს გათავისუფლება, არამედ აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ მედგრად მებრძოლი ყარაბაღის ხან იბრაჰიმისა და სომეხი მელიქებისათვის დახმარების აღმოჩენა იყო;

5. კავკასიის კორპუსის ჯარებს თბილისიდან განჯამდე მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო უნდა დაეკავებინათ და ყარაბაღში მცხოვრებ ქრისტიანებს დახმარებოდნენ.

1796 წლის 18 აპრილს კასპიის კორპუსი დერბენტისაკენ დაიძრა. დიდი ბრძოლების შემდეგ, 10 მაისს, ვალერიან ზუბოვმა დერბენტი დაიკავა. ბრძოლაში დაიღუპა 11 ოფიცერი, დაიჭრა და მოკლეს დაახლოებით 200 ჯარისკაცი. ირანის შიდა პროვინციებისკენ გზა გახსნილი იყო. 1796 წლის 24 მაისს კასპიის კორპუსი დერბენტიდან გავიდა და 6 ივნისს ყუბა დაიკავა, თუმცა ყუბის სახანოს დაკავების შემდეგ შემახისათვის ბრძოლა გაჭიანურდა.

გენერალ-პორუჩიკმა ვალერიან ზუბოვმა კავკასიის კორპუსი განჯის დასაკავებლად გაგზავნა. კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალ-მაიორი პაველ ციციანოვი ამ დროისათვის უკვე ბაქოს კომენდანტად იყო დანიშნული და ის გენერალ-მაიორ ალექსანდრ რიმსკი-კორსაკოვმა შეცვალა. კავკასიის კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა: ხაზზე 1797 წლის გაზაფხულზე უნდა დაბრუნებულიყო. კავკასიის კორპუსის საქართველოდან გასვლის გამო ერეკლე II და აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველას კარგად ესმოდა, რომ ირანის მრისხანე მბრძანებელი შურს იძიებდა. საქართველო ირანის მბრძანებლის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა. 1797 წლის ივნისში, შუშაში, შეთქმულებმა აღა მაჰმად ხანი მოკლეს. მის მკვლელობის თარიღად სხვადასხვა წყარო მიიჩნევს: 4 მაისს, 22 მაისს, 4 ივნისს, 11 ივნისს. ქართული წყაროს მიხედვით, აღა მაჰმად ხანი 1797 წლის 5 ივნისს მოკლეს. მისმა მკვლელობამ ქართლ-კახეთის სამეფოს გარკვეული შვება მოუტანა, თუმცა ირანიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა. ერეკლე II-ის თხოვნის მიუხედავად, პაველ I-მა საქართველოდან კავკასიის კორპუსის გაყვანის შემდეგ კორპუსის ნაწილი, ორი ბატალიონი, ქართლ-კახეთის სამეფოში არ დატოვა. სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ორი ბატალიონის კავკასიის ხაზზე გაყვანა შეფერხდა. პაველ I ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ბატალიონების გაყვანის შეფერხების გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვა. 1797 წლის 31 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერატორს თხოვნა მიართვა. ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იმპერატორს სთხოვდა განემარტა, საქართველოში ჯარს რატომ არ აგზავნიდა. გარსევან ჭავჭავაძე პაველ I-ს ასევე სთხოვდა ავადმყოფი და სასონარკვეთილი მეფის დამშვიდების მიზნით მისთვის მანუგეშებელი წერილი მაინც გაეგზავნა. გარსევან ჭავჭავაძის თხოვნის დაწერიდან 13 დღის შემდეგ, 1798 წლის 12 იანვარს, თელავში, ერეკლე II გარდაიცვალა...

1796 წლის გაზაფხულზე რუსეთის ჯარის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა რომ გაგრძელებულიყო, ქართლ-კახეთის სამეფო დაცული აღმოჩნდებოდა და არსებობდა იმის შანსიც, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები შეესრულებინა. სამწუხაროდ, ირანში რუსეთის ჯარის ლაშქრობა 1796 წლის ბოლოს შეწყდა, უფრო მეტიც, იმპერატორმა პაველ I-მა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა ძირეულად შეცვალა. ახალი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო აქტივობას გამორიცხავდა და ირანსა და ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში არანაირი ფუნქცია აღარ შერჩა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ქართული ჰოეზიის

სოსო გიქოშვილი

„ჰე, საქართველოვ, შენზე ძვირფასი
რა გვაქვს შენს შვილებს
დასაფიცარი...“

(იოსებ ნონეშვილი)

ქართველ კაცს მართლაც რომ გონივრულად უთქვამს: „ეს წუთისოფელი ლამაზი სულის ადამიანებისა და მათი გაწაფული სიკეთის საფუძველზეა დამყარებული, რომ ადამიანური ღირებულება ერისთვის გახარჯული სიკეთით იზომება.“ სწორედ ასეთი გააზრებიდან იღებს სათავეს ადამიანური მაღალზნეობრივი ცხოვრების წესი, ადამიანური რაობა ამ მარტივი ჭეშმარიტებით იზომება და, ამდენად, თითოეული ჩვენგანი თავისი ნამოქმედარით ფასდება, მასზეა პასუხისმგებელი. გარდა ცხოვრებისა, ეს სამართლიანი საზომი ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაშიც ოდითგანვე დამკვიდრდა და სულიერი კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ადამიანური ზნეობრიობა ქართულმა მწერლობამ ესთეტიკურ იდეალამდე აღამაღლა, ხალხის სამსახური კი მთავარ იდეად დაისახა. ასე იქცა ქართული ლიტერატურა ჩვენი ერის ჭეშმარიტ მსახურად, ხალხურობა მწერლობის იდეურ-ესთეტიკურ საფუძვლად ჩამოყალიბდა. იგი გაიაზრეს როგორც პროგრესული აზრის, საზოგადოებისადმი ერთგულების გამოვლინება. სწორედ ასეთი ნიუანსებით ხასიათდებოდა ქართული კლასიკური პოეზია. ასეთივეა მისი მემკვიდრე უმდიდრესი და უმშვენიერესი თანამედროვე ქართული ლექსიც. მან შეძლო გამხდარიყო ხალხის მესაიდუმლე, მისი ალამდარი, ვინაიდან მარად ცხადყოფდა საერთო ეროვნული იდეალებისაკენ, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვას. ასეთი პოეზიისადმი თავდაუზოგავი სამსახური უძღვნა უაღრესად ნიჭიერმა ქართველმა შემოქმედმა, ქართველი ხალხისათვის საყვარელმა პოეტმა, საყოველთაოდ აღიარებულმა მგოსანმა – იოსებ ნონეშვილმა (1919-1980), რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ეროვნული პოეზიის ტრადიციები. იგი მთელი არსებით დაუკავშირდა ერთ-ერთ უძველეს და უმდიდრეს სიტყვაკაზმულ ქართულ მწერლობას, მის ისტორიას. მშობელი ერისა და ქვეყნის მძაფრი სიყვარული ნონეშვილის პოეზიაში არასოდეს ყოფილა მარტოოდენ თვითმიზანი, ვიწრო პირადული გრძნობა, არც შეზღუდული ეროვნულობის გამოხატულება. იგი მკითხველს ეხმარება გაიგოს და გაითავისოს სხვა ხალხების სულიერი სამყარო, მათი ეროვნული საგანძური, რომელიც შექმნეს და გადაარჩინეს ისტორიის ორომტრიალში. სწორედ ასეთი განცდით გამოირჩევა, მაგალითად, ლექსი **„ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი.“** ცოტა უცნაური საუბარია, მაგრამ ეს არსებითი როდია. ლექსი წარმოადგენს ეროვნულობის დაცვის, მისი შენარჩუნების აუცილებლობასა და ამ მარადიული გრძნობის ხოტბა-დიდებას. ლექსის ავტორმა ინდიელი პატარა გოგონას უბრალო ლოცვა ისეთი საოცარი ლირიზმით დახატა, რომ მას ასევე გულში ჩამწვდომად გაიმეორებდა ყველა სხვა ხალხის შვილი, ვისაც კი სულ ოდნავ მაინც უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ერი. ლექსში ვკითხულობთ:

„რაგინდა კარგი იყოს, მე სხვას
არ ვინდომებ,
რაგინდ მამა-პაპის სულს ნუ გამოდენი,
ღმერთო, დამიტოვე ენა წინაპრების!..
ღმერთო, ჩემი ხალხი ვის რას ედავება,
ნატრობს ბედნიერი იყოს ყველა ერი,
ღმერთო, ნუ წაართმევ ჩემს ხალხს
დედაენას,
ქვეყნად ყველა ენა არის შენსმიერი...“

მოცემული ლექსი არა მარტო გადმოგვცემს პატარა გოგონას სურვილს – შეინარჩუნოს თავისი ეროვნება, არამედ აღძრავს პროტესტს ეროვნული დისკრიმინაციის, ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ლექსი დასტურია იმისა თუ როგორ შენივთებულა იოსებ ნონეშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაში სუბიექტური განცდა და საზოგადოებრივი მოტივი, პირადული ფიქრი და ეროვნული პრობლემატიკა, ინდივიდუალური ოცნება და მოქალაქეობრივი პათოსი.

თავისუფალი მამულიშვილური განცდა მგოსნის თითქმის ყველა ლექსში ხმიანობს, მის ყოველ სტრიქონში იკვეთება. ამ თვალსაზრისით არის გამსჭვალული ლექსი **„ამ წუთს, ამ საუკუნის“,** რომელშიც ჩვენი ქვეყანა წარმოგვიდგება ხვავბარაქიან მხარედ, რომ საქართველოს ნამდვილ სიმბოლოს პოეტისთვის თბილისი წარმოადგენს. იოსებ ნონეშვილი მსგავსად იოსებ გრიშაშვილისა, თბილისქალაქის მეხოტბეა. თუ იგი თავის ეროვნულ განცდაში გიორგი ლეონიძის კვალს მისდევს, თბილისისადმი სიყვარულში, როგორც აღვნიშნეთ, ი. გრიშაშვილს სულიერად ენათესავება, მის მსგავსად „ერეკლეს თოფხანაშია“ აღზრდილი და მასავით დედაქალაქის მირონი სცხებია.

ცნობილია, რომ იოსებ ნონეშვილი მოგზაურობის დიდი მოტრფიალე იყო, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ასევე უცხო ქვეყნების ხშირი სტუმარი გახლდათ, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ საქართველო და თბილისი ესახებოდათ თვალწინ. ვერც ერთი ქვეყნის, თვით სამოთხისებური სილამაზე, ვერ უფერმკრთალებდა მშობლიური საქართველოს გონებაში მტკიცედ ჩაბეჭდილ ხატებას და წერდა:

„ყველაზე ლამაზად მიგიჩნევდით
მთებო,
მიწა-წყალო ათასფერო,
რომ ქვეყნად არ იყვნენ ჩემი მთები,
ჩემი ღვთაებრივი საქართველო.“

აქ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მოცემულ სტროფში გატარებული იდეა ზოგადქართული ეროვნული თვისებაა, რომ მსოფლიოში იშვიათია ერი, რომელიც მტკივნეულად იყოს მიჯაჭვული თავის სამკვიდრებელზე, როგორც ქართველი ერი. „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი ლიდერი ტიციან ტაბიძეც ხომ ამას წერდა: ***„დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი.“*** ქართველი კაცის შემართებას, მის შეუპოვარ ბუნებას იოსებ ნონეშვილმა ერთი შთამაგონებელი პოემა უძღვნა, ასეთია **„კაპიტანი მონტი,“** რომელიც ეძღვნება იტალიაში მებრძოლი ქართველის – გიორგი ვარაზაშვილის ხსოვნას და, რომელსაც იტალიელმა ხალხმა თავისი ეროვნული გმირის მაღალი წოდება მიანიჭა. პოეტს როდი ავიწყდება მამა-პაპათა ღვაწლის დაფასება, მათდამი თაყვანისცემა. წინაპართა დანატოვარის დაცვა, ქართველების ურთიერთთანადგომის იდეა *(რომელიც დღესაც გვიჭირს ქართველებს, ს.გ.)* ერთგვარ მოწოდებასავით ჟღერს ლექსში **„საქართველოში ბევრია დაფნა“**. ლირიკოსი პოეტი წინაპართა ლანდებს მოუხმობს, ეხმიანება გარდაცვლილთა სულებს, რათა თანამედროვე ქართველობა არ შეცდეს და ჭეშმარიტების გზას არ გადაუხვიოს:

„საქართველოში ბევრია დაფნა,
საქართველოში ბევრია მუხა,
ფოთლები მათი მოვკრიფოთ უხვად,
რომ დავაფინოთ მამების საფლავს.“

წინაპარ ქართველთა საქმენი მიგვანიშნებენ მათი განვლილი გზის მართებულობაზე, ერთიანი ქართული საქმისადმი თავდადებაზე, ხვალინდელ დღეზე. ნონეშვილის სხვადასხვა ლექსებში ჩანს მოკრძალება იმ წინაპრების მიმართ, ვინც ეროვნული თავისუფლების სანუკვარ იდეას შეეწირა:

„იქნებ სულ ისე, ვით მამას სურდა,
მე ვერ შევძელი ლტოლვა მიზნისკენ,
იქნებ ცდუნებებს ავყევ მისი ძე,
ფეხქვეშ იმ გმირთა გზა გამიმრუდდა.“

იოსებ ნონეშვილისთვის ერთნაირად საინტერესოა როგორც სამშობლოს წარსული, ისე მომავალი. მისთვის აწმყო, წარსული და მომავალი ერთი მთლიანობაა, იგი დღევანდელობას წარსულიდან ჭვრეტს და, პირიქით. ამიტომაც ძვირფასია პოეტისთვის წინაპართა დაღვრილი სისხლი, რითაც გაჟღენთილია ქართული მიწის ყოველი მტკაველი: ***„სად ჰქონდა ჩვენს ხალხს სისხლი ამდენი, რომ სადღა აღარ დაუქცევია“***. – წერდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნონეშვილი. როცა ვსაუბრობთ მის პოეზიაზე, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ რამდენიმე საინტერესო ლექსზე, რომლებიც ეძღვნება თავისივე თაობის თანამოკალმეებს – მირზა გელოვანს და ლადო ასათიანს. ეს ლექსები გამოირჩევა ცხოველმყოფელობით, გრძნობათა სიწრფელით და სახეობრივი აზროვნებით. პოეტმა ლექსები ასათიანისა და გელოვანის გახმაურებული მეტრითა და რიტმით დაწერა, ამით თითქოს თავისებურად დაუახლოვდა „მარად ჭაბუკებად დარჩენილებს.“ ლადოსა და მირზასათვის დამახასიათებელი ლექსიკის თუ მხატვრულ სახეთა ოსტატური მოშველიებით, იოსებ ნონეშვილი მკითხველთა მიერ ატაცებულ მათ სტრიქონებს გვახსენებს, რითაც მიიღწევა მეტი შთაბეჭდილება:

„ტატოს ასაკსაც ვერ მოვესწარი,
ბედს ვერ გაუმკლავდი უცხო ზნიანს,
ქართველ პოეტთაგან ასე მცირე ხანი
ამქვეყნად არავის უცხოვრია...“

და კიდევ:

„მაგრამ წელიწადი ოცდაექვსი,
რამდენ ოცდაექვსის სადარია,
რამეთუ სისხლი ჩვენი შენმა ლექსმა
ბევრჯერ აღაგზნო და გადარია.“

გულწრფელი სევდითაა გამსჭვალული და ნაზი ლირიზმით აღსავსე სტრიქონები, რომლებიც ეძღვნება ასევე ნაადრევად დაღუპულ მეგობარს – მირზა გელოვანს. მოვუსმინოთ პოეტს:

„ვინ გაიგოს, ძმაო მირზავ,
წუთისოფლის განაჩენი,
სიჭაბუკის ფერად სიზმარს
გაჰყოლია სიყრმე ჩვენი.
სანადიროდ დილა სისხამ,
სად ხარ, გიცდის ივრის ჭალა,
შენ ისევ ის ჭაბუკი ხარ,
– მე ჭაღარა მომეძალა.“

სევდა მაშინ განსხვავდება ხოლმე მოწყენილობისგან, როცა მასში სულიერი ტკივილი თანდათან იმატებს. მეგობრის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ხატოვნადაა გაცხადებული შემდეგ ტაეპში:

„შენი სიყრმის ხმები მესმის,
ვნახე ობლად შენი ოდა,
ჰაი, დედას, თიანეთში
მე უშენოდ რა მინდოდა.
სად ხარ, შენი მთების უბე
შენი ლექსის შუქით ბრწყინავს,
იქნებ უცხო ცის ქვეშ ღრუბელს
შესთხოვ ჩვენი მთების წვიმას...“

მსგავსი ტაეპის ლექსები ადამიანთა სულში აღმართულნი არიან როგორც მარადსახსოვარი მოგონებები. ამიტომაა, რომ არ გვავიწყდება მათი სახელები, ვინც მომავალი თაობებისათვის საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანეს მამულის სამსხვერპლოზე წმინდა ზვარაკად. იოსებ ნონეშვილმა ამ ადამიანთა უკვდავსაყოფად მრავალგზის შეაშველა თავისი ომახიანი პოეტური ხმა ერთიან ქართულ პოეზიას.

ამაღლებული სიყვარულის განცდა იმთავითვე ასაზრდოებდა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას. მისი მართებული შეხედულებით სიყვარული ადამიანური განცდაა აღფრთოვანების, სიცოცხლის, სიყვარულისა და სილამაზით ტკბობისა. ნატიფი სატრფიალო ლირიკით ამ მარადიულ თემას პოეტმა არასოდეს უღალატა და არაერთი კლასიკური ლექსით გაამდიდრა ეროვნული პოეზია. მას სწამდა, რომ უსიყვარულოდ პოეტი პოეტი აღარ არის, მით უმეტეს, რომ ასაკი სიყვარულს არ ზღუდავს და მგოსანიც მუდამ მეხოტბე გახლავთ სიყვარულისა, როგორც ჭაბუკობის ჟამს, ისე სიცოცხლის მიმწუხრისას. იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში სიყვარულით ახმიანებული მრავალი ლექსი გამოირჩევა, თუმცა საინტერესოა, რომ ისინი ერთდროულად კიდეც ჰგვანან და კიდეც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საერთო ისაა, რომ რაღაც მსუბუქ სევდას გვიმჟღავნებენ, მოკრძალებულ სინანულს დროის დაუდეგარი ცვლილებებით რომაა განპირობებული. ლექსებში ცხადდება ავტორისეული გრძნობათა სიწრფელე, თუმცა შეინიშნება ადამიანური სინანულიც უკვე დაგვიანებული სიყვარულის გამო:

„რა სევდიანი თვალებით მიმზერ,
რა მშვენიერი სახელი გქვიან,
გულზე თაკარა რად შემომიგზნე,
საწუთროს გზაზე რად
შემხვდი გვიან?“

ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანური ყოფიერება თავდაუვიწყარ სრბოლას ჰგავს. საკმარისია ადამიანმა ცხოვრების გზაზე ერთი წუთით დააყოვნოს, შეისვენოს და მორჩა კიდეც – სამუდამოდ დააგვიანებს! თურმე, სიყვარულსაც ასე სცოდნია, ისიც დროსავით შეუბრალებელია და ულმობელი. სწორედ ამ ულმობლობას მისტირის იოსებ ნონეშვილი ლექსში **„რა უეცრად დაქალდი, ბავშვი იყავ გუშინ.“** ლამაზი ქალის მოულოდნელი გამოჩენა პოეტს გაზაფხულის მობრძანებას აგონებს, როცა ბუნება ერთდროულად თეთრად აფეთქდება:

„ნეტა როდის იფეთქა, გუშინ
არც კი ჩანდა,

იოსებ ნონეშვილი მეუღლესთან ერთად

ᲛᲔᲓᲔᲐ

თეთრად შემომეფეთა
სულში შუქად ჩადგა.“

ასეთი „სულში შუქად ჩამდგარი“ სიყვარულის მეხოტბედ დარჩა ნონეშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაღალი ადამიანური არსობის პოეტური ცხადყოფაა ლექსი **„დარჩი პოეტად და კაცურ კაცად“**, რომელშიც ავტორმა კიდევ ერთხელ გვამცნო თავისი ზნეობრივი მრწამსი. აქვე ურიგო როდი იქნება გავიხსენოთ ლექსები, რომლებიც ქართულ პერიოდულ გამოცემებში („ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“, „ცისკარი“) ქვეყნდებოდა. მაგალითად, **„ელადის ყვავილები,“ „მედეა“, „მთვარემ ფარულად შუქით შეგმოსა,“ „გვიყვარდეს საქართველო,“ „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს.“ „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა.“ „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“** და სხვა მრავალი. ამჯერად მხოლოდ ორ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას. ესენია „**მედეა**“ და **„ელადის ყვავილები“**, რადგან ფართო საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, განსხვავებით ზემოჩამოთვლილთაგან. ლექსები გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირსებებით, ღრმააზროვანი, დახვეწილი პოეტური მიგნებებით. „მედეა“ ერთ-ერთი შთამბეჭდავი პოეტური ნიმუშია, რომელშიც იოსებ ნონეშვილმა ხატოვნად წარმოაჩინა, ტრადიციული მითოლოგიური სახისაგან სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია, კოლხი ასული თავისი რთული ხასიათით. პოეტმა მასში დაინახა მოტყუებული, მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი, უცხო მხარეს გადახვეწილი, სატრფოსაგან უტიფრად მოტყუებული ქალის ტრაგედია, ქალისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ყველაფერი სიყვარულს ანაცვალა, თვით სამშობლოც კი. ბერძენი ჭაბუკისაგან გაბრიყვებულმა მედეამ, თავისიანები მიატოვა, სიყვარულისა და ბედნიერების ძიებაში უცხო მხარეს შეაფარა თავი. იოსებ ნონეშვილის აზრით, აქედან იწყება მზაკვარ ბერძნებში მოხვედრილი მედეას უბედურება:

„სხვის მიწაზე ვის გაუხარია,
შენ რად დაგინდობენ ქალო,
თუ ასე ლამაზი, ბრძენი და კარგი ხარ,
ბერძენი რად არა ხარო?“

ბერძნებმა, ვისგანაც წინაპარ ქართველებს მრავალგზის უნახავთ ღალატი, ქართველებს მხოლოდ ოქროს ვერძი როდი მოსტაცეს, ისინი თვით ადამიანებსაც იტაცებდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ბედი ერგო მედეას. კოლხი ქალის მწარე ხვედრმა საბერძნეთში ჩასული პოეტი ძალიან ჩააფიქრა და ასე მიმართა შორეულ თანამემამულეს:

„კოლხეთის ყველაზე ლამაზო ასული,
ჩემო ტანჯულო დაო...“

მედეას სახელის აღდგენის სურვილი მარტო ეროვნულმა გრძნობამ როდი წარმოშვა. იოსებ ნონეშვილი ეყრდნობა არსებულ ისტორიულ ცნობებს, რომლებიც უარყოფენ მედეას მიერ შვილების მკვლელობას და იგი უფრო გვიანდელ მხატვრულ გამონაგონად მიაჩნია. პოეტმა გაამართლა ისტორიისაგან შერისხული თანამემამულე და სულ სხვაგვარად შეხედა მას:

„შეგარქვეს გრძნეული, ბოროტი,
ავსული,
რა აღარ გიწოდეს ნეტავ,
ამქვეყნად ყველაზე ბედკრულო
ასულო,
ყველაზე ტანჯულო დედავ.“

ეს ლექსი წარმოგვიდგება როგორც ტრაგედია სამშობლოს მოღალატე ადამიანისა, ვისაც მტრები გადაიბირებენ და შემდეგ მიატოვებენ. უცხო გარემოსა და უცხო ხალხში მოხვედრილს ცხოვრებას ტრაგიკულად ამთავრებინებენ, სამაგიეროდ ამ ტრაგედიის მთავარ დამნაშავედ მასვე მიიჩნევენ. სიმბოლური სახეების შექმნა ი.ნონეშვილის ნაცადი ხერხია. ასეთია ლექსი **„თურმე ღმერთებიც ცდებიან ძლიერ.“** მსოფლიოში გაჩაღებულმა ბრძოლამ ეროვნული იდეალებისათვის, ბოლო დროს მასშტაბური ხასიათი მიიღო, თუმცა ანტიეროვნული ძალები ყველანაირად ცდილობენ ამ ბრძოლის ჩაქრობას, ხალხის ქომაგთა დასჯას. სწორედ ასეთი მძაფრი სურათია ასახული ხსენებულ ლექსში, რომელიც უაღრესად შთამბეჭდავად ჟღერს:

„თურმე ღმერთებიც ცდებიან ძლიერ,
როცა ვითომდა სამართლიანი
მსჯავრით განსაჯეს,
დასაჯეს, სძლიეს,
ღმერთების ურჩი ადამიანი.
არა სცოდნიათ, რომ როცა სჯიან,
სჯიან კი არა, – გმირებად ხდიან!“

ხალხისთვის წამებული ასეთი გმირია ღმერთებისაგან ცეცხლის მომტაცებელი, კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე. იგი *„ღმერთმა უღმერთოდ აწამა, მაგრამ დათრგუნვა მისი მაინც ვერ შესძლო“.* როგორც ვხედავთ, ლექსის ავტორს ასეთ აქტუალურ გააზრებამდე, სამოქალაქო ლირიკამდე მიჰყავს მოძველებული პრეისტორიული მითი და მას იყენებს ცოცხალი თანამედროვე ისტორიის გასააზრებლად.

იოსებ ნონეშვილს ხელეწიფება კონტრასტული სახეების შექმნა. იგი აქტიურად მიმართავს დაპირისპირებებს, საწინააღმდეგო მოვლენების შედარებებს, ანტითეზებს, ირონიას, იუმორს და სხვადასხვა ლიტერატურულ ხერხს. მაგალითად, მისი იუმორი ყოველთვის უბოროტოა, მახვილგონიერია და გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. ასეთია, მაგალითად, ლექსი – *„გადაწყდა: უნდა სამაგიერო გადავუხადო ბერძნებს.“* პოეტს განუზრახავს, რომ *„აქ, პირებს თან უნდა ვუყელო და ხერხით ათასგვარით მედეას ნაცვლად გზას გავუყენო ერთი ბერძენი ქალიო,“* თუმცა „ღმერთები“ შეახსენებენ, რომ მან, როგორც მშვიდობისმოყვარემ, ეს არ უნდა გააკეთოს. მკითხველი თუ წაიკითხავს ამ პატარა ლექსს, ნახავს, რომ მის სტრიქონებს არ აკლია სალაღობო სახუმარო ტონი.

„მედეა“. ნახ. ანსელმ ფოიერბახი. 1870 წ.

იოსებ ნონეშვილის ეროვნული სულისკვეთება, ჭეშმარიტი სიყვარული თავისი ერისა და ქვეყნისა, მისი პოეტური ქმნილებებისათვის ხელშესახებად გამოსჭვივის. ეროვნული განცდის გამოსახატავად ლირიკოსი ერთნაირი წარმატებით იყენებს არაერთ სახე-სიმბოლოს, პოეტურ ფერებს, ტროპული მეტყველების სხვადასხვა სახეს, მითოლოგიურ თუ ისტორიულ დეტალებს. ეს მონდომება აშკარად იკვეთება პოეტის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსების ციკლში **„ელადის ყვავილები“**. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ ლექსი **„აქილევსი“**. სამეცნიერო წრეებში სარწმუნოდ მიიჩნევენ, რომ პელაზგები (წინარებერძნული ტომები) ქართველი ტომების მონათესავე ხალხი ყოფილა. ძველი თქმულებების მიხედვით, ძველბერძენთა გმირი – აქილევსიც პელაზგი იყო. როგორც ჩანს, ამან მიანიშნა ნონეშვილს დაეწერა ლექსი, რომელშიც გამოხატავდა თავის აზრს ქართველი ხალხის კულტურის სიძველესა და სიმდიდრეზე – ქართველების მაღალ საბრძოლო, შემოქმედებით ღირსებებზე, რის გამოისობით ათასწლოვანი ისტორიული გზა გამოიარა მაშინ, როცა უძველესი ხალხები პირწმინდად აღიგავენ პირისაგან მიწისა, თან ისე, რომ მათი სახსენებელი სამუდამოდ გაქრა კაცობრიობის მეხსიერებიდან. აი რას წერდა პოეტი:

„ჩვენს წინაპრებად სთვლიან
პელაზგებს,
იქნებ საბუთიც ბევრზე ბევრია,
მე კი საბუთად ის მწამს ყველაზე,
აქილევსს მტერი ვერ მოერია.“

როგორც ჩანს, ლექსის ავტორმა არ აპატია ვერაგობა ბერძნებს, როგორ მზაკვრულად მოკლეს აქილევსი და როგორ მზაკვრულადვე უსწორდებოდნენ ქართველებს. *„მხოლოდ ღალატით და ჩასაფრებით, მხოლოდ მიპარვით ჰკლავდნენ ქართველებს.“* ეს ორი შეხედულება, ერთ დასკვნად გაერთიანება ლექსს ამთლიანებს არა მარტო კომპოზიციურად, არამედ, იდეური არსითაც:

„და ვფიქრობ მტერზე ზვავად
დაძრული,
მიმდობი, ქველი, წრფელი, ალალი –
სული ლაზური თუ პელაზგური,
განა ქართული სული არ არის?..
ათასი ჯურის მტრები გესივნენ,
ბედმა მშვიდი დღე როდი გვაღირსა,
ცეცხლში დაიწრთო აქილევსივით
სულიც, სხეულიც ჩვენი ხალხისა.“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანებს მრავალთაგან ერთი ასეთი თვისება აქვთ, – სადაც არ უნდა იყვნენ, მაინც თავიანთი მშობლიური კუთხე ენატრებათ. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართველებს ეს თვისება კიდევ უფრო გამძაფრებული აქვთ ეროვნული თვითგადარჩენის ძლიერი ინსტიქტის წყალობით. ეს თვისება ასაზრდოებს იოსებ ნონეშვილსაც. უცხოეთზე დაწერილი (ან უცხოეთში დაწერილი) მისი თითქმის ყველა ლექსი, როგორი ჟანრისაც არ უნდა იყოს, საქართველოზე ფიქრით იწყება და მთავრდება. ასეთია ლექსი **„ნისლი ადგება ათონს.“** რომლის სტრიქონებს ელეგიური, სევდიანი ფერები დაჰკრავს:

„გუმბათსავსე ფერდობს,
ხმა ეფინება ნელი...
ამ ხმას უსმენდა ერთ დროს
ექვთიმე ათონელი.
ამ ხმას ისევ და ისევ,
გიორგი მთაწმინდელმა,
აქედან მშობელ ცისკენ
ფიქრები აადევნა...
ამ ხმით თორნიკე ბერი აპჯარს
ისხამდა ტანზე,
ახლა ცით მონაბერი ეს ხმა
გულს სევდით ავსებს.“

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაზე საუბრისას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი ერთი საინტერესო მხარეც, რომელიც დღეს ქართულ პოეტურ კულტურაში, მიმდინარე პროცესების ფონზე, ძალიან განსაკუთრებულად გვეჩვენება, კერძოდ, მის პოეზიაში ნაკლებად ვხვდებით შინაარსისაგან დაცლილ ლექსებს, მარტო პირადი განწყობა რომ იყოს გადმოცემული. იშვიათობაა ლირიკული სახის ლექსებიც, რომლებშიც მხოლოდ ავტორის სიხარული, მწუხარება, სინანული თუ აღტაცება იყოს ასახული. პოეტი ცდილობს, რომ შინაარსობრივი აზრი ჩადოს. აქედან გამომდინარე, იოსებ ნონეშვილის ლექსთა უმრავლესობა ბალადური ხასიათისაა, რადგან გარკვეული სიუჟეტური ქარგა აქვს, მიუხედავად მოცულობისა. ამ ლექსებში (რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს) რაიმე პრობლემა ლირიკული საშუალებებითაა გადაჭრილი, ან რაღაც გარკვეული ამბავია გადმოცემული. პოეტის ლექსების ასეთი სიუჟეტიანობა მისი წერის სტილის დამახასიათებელი ნიშანია. იგი მაღალ ოსტატობას მოითხოვს. ამიტომაა, რომ მათში ლირიკული და ეპიკური საწყისები ორგანულადაა შეხამებული, ასეთი რამ კი ყველა პოეტს როდი ხელეწიფება. ამას სათქმელის სიღრმისეული გააზრება და ლიტერატურული ხერხების სათანადო მისადაგება სჭირდება.

იოსებ ნონეშვილის პოეზია იმიტომ არის საზოგადოების ყველა დროისათვის აქტუალური, რომ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ცხოვრებასთან და მისი ფიქრისა თუ განწყობილებების გამომხატველია. ნებისმიერ შემოქმედს, ვისაც პასუხისმგებლობის მაღალი განცდა აქვს, მუდამ აფიქრებდა კითხვა: შესძლო თუ არა მან ისე სრულეყო იდეურ-მხატვრულად თავისი მემკვიდრეობა, როგორც ეს ჭეშმარიტ ხელოვანს შეეფერება. ცხადია, ეს კითხვა აწვალებდა იოსებ ნონეშვილსაც:

„და თუ სულ ისე ვერა ვთქვი,
ისე, როგორც გულს სურდა,
ჩემი გრემი და გელათი
ნუ გამიგებენ ცუდად –
მე მათი ღელვით ვღელავდი,
მათი მზე მწვავდა მუდამ...“

მართალია ჩვენ ამ წერილში მხოლოდ ზოგადად შევეხეთ სხვადასხვა ლექსებს, თუმცა მათში კარგად იკვეთება იოსებ ნონეშვილის ხალასი პოეტური ნიჭი, მისი ხელხვავიანი შემოქმედება. ლიტერატორის თვალით დანახული, მოქალაქისა და ქართველი კაცის გულით ნაგრძნობი ლექსები ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად დიდი შემეცნებით ფასეულობებსაც შეიცავენ. სწორედ ამ ლექსებმა სამუდამოდ დაუმკვიდრა მას კუთვნილი ადგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში. დაბოლოს: ურიგო არ იქნება ჩვენი წერილი დავასრულოთ მისი ერთსტროფიანი ლექსით, რომელიც 1979 წელსაა დაწერილი და, რომელიც ხატოვნად წარმოაჩენს პოეტის რთულ, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების გზას:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე, ესეც გმირობაა დიდი!“

იოსებ ნონეშვილმა მართლაც რომ ჭეშმარიტი კაცის ცხოვრებით განვლო წუთისოფელი და სათაყვანებელ ერს დაუტოვა უმშვენიერესი ლექსები საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად.

შოთა ალთუნაშვილი — 90

ეკნეკარიდ ემსახურა საყვარელ საქმეს

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას საყვარელ საქმეს მიუძღვნიან და მას დიდი თავდადებით ემსახურებიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ასეთი ადამიანები ძნელბედობის ჟამს, საჭირო დროსა და საჭირო ადგილას აღმოჩნდებიან და საქმეც კეთილად წარემართება... ასეთ ადამიანად მეგულება ცნობილი ქართველი ლოტბარი და მომღერალი შოთა ალთუნაშვილი. მას განუზომელი ღვაწლი მიუძღვის მესხური ტრადიციული სიმღერების აღდგენის, ამ კუთხეში ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მინავლებული მრავალხმიანი აზროვნების, მრავალხმიანი მღერის ტრადიციის გაცოცხლებაში.

შოთა ალთუნაშვილი ათწლეულები უანგაროდ ემსახურა საყვარელ საქმეს. უანგაროდ-მეთქი, – ვამბობ, რადგან არსად და არასდროს საკუთარი ღვაწლის წარმოჩენაზე არ უფიქრია, პირიქით – მუდამ ჩრდილში დარჩენას ამჯობინებდა... ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოქალაქეს, საქვეყნო საქმის კეთება საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა და აკი გადადო კიდეც ამისთვის თავი: თბილისელი ახალგაზრდა რეგიონში დამკვიდრდა და ქართული ტრადიციული კულტურის სამსახურში განვლო თავისი ცხოვრება.

* * *

შოთა რევაზის ძე ალთუნაშვილი 1933 წლის 23 იანვარს თბილისში დაიბადა. მათი ოჯახისა და გვარის წარმომავლობა ზემო ქართლიდანაა. ჩვენ არ ვიცით, რა ადგილი ჰქონდა ხალხურ მუსიკას ალთუნაშვილების ოჯახურ ტრადიციაში და საიდან შეიყვარა თბილისელმა ბიჭმა ხალხური სიმღერა, თუმცა ახალგაზრდამ არჩევანი თავად გააკეთა და სკოლის შემდეგ სწავლა კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე განაგრძო. სასწავლებელში მისი პედაგოგები იყვნენ ხალხური მუსიკის კორიფეები – ავქსენტი მეგრელიძე, მარო თარხნიშვილი, ვანო მჭედლიშვილი, ვასილ მახარაძე... მათ წინაპართა დანატოვარ საუნჯეს ისე მოუარეს, როგორც „ხელიხელსაგოგმანებ მარგალიტს" და მომავალ თაობებს შემოუნახეს. ამ ლეგენდარული ადამიანების მოსწავლეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული შოთა ალთუნაშვილიც გახლდათ: ნიჭიერმა ახალგაზრდამ საუკეთესოდ აითვისა ხალხური მუსიკალური აზროვნების კანონზომიერებები, ვირტუოზულად დაეუფლა ხალხურ საკრავებს და, ამგვარად, სრულიად ახალგაზრდა ასაკში ჩამოყალიბდა უკვე პროფესიონალ ლოტბარ-შემსრულებლად. მოგვიანებით შოთა ალთუნაშვილმა სწავლა კონსერვატორიაში განაგრძო და კურსდამთავრებულს გუნდის დირიჟორის უმაღლესი კვალიფიკაცია მიენიჭა.

1955 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი კულტურის სამინისტრომ ახალციხეში გაგზავნა. აქ მას მალევე სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობა დაევალა და ეს საქმეც კეთილად წარემართა: ათწლეულების მანძილზე ახალციხის სამუსიკო სკოლა საქართველოს რეგიონებიდან მოწინავეთა შორის იყო ყველა კონკურსსა თუ ფესტივალზე.

შოთა ალთუნაშვილი საქართველოს სამუსიკო საზოგადოების ახალციხის გამგეობას თავმჯდომარეობდა. მცირე ხანს ახალციხის კულტურის სამსახურსაც ხელმძღვანელობდა. ამგვარად, მის სახელთანაა დაკავშირებული, 1950-იანი წლებიდან ვიდრე სიცოცხლის ბოლომდე, მნიშვნელოვანი ძვრები და წარმატებები ახალციხის კულტურულ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლოტბარმა, ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში, სამასი გოგონასაგან ინტერნაციონალური გუნდი ჩამოაყალიბა და რეპერტუარიც შესაბამისი შეუდგინა. გუნდმა მრავალ წარმატებას მიაღწია. მათ მოღვაწეობას ხელისუფლების მხრიდანაც მოყვა სათანადო გამოხმაურება და შოთა ალთუნაშვილს საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდება მიენიჭა.

ათწლეულების მანძილზე ხიბლავდა მსმენელს შოთა ალთუნაშვილის გამორჩეულად ლამაზი ტემბრის, ძლიერი ტენორი, თუმცა, როგორც პროფესიონალი ლოტბარი, ხალხურ სიმღერაში ნებისმიერ ხმას ოსტატურად ფლობდა... მაგრამ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი, რითაც შოთა ალთუნაშვილმა ქართული კულტურის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, ტრადიციულ მესხური სიმღერების მოძიებას, აღდგენასა და გაცოცხლებას უკავშირდება.

ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო, სამას წელზე მეტხანს მესხეთში ყველაფერ ქართულსა და ქრისტიანულს გადაშენების საფრთხე დაემუქრა: თანდათან იკა რგებოდა ვაზის ჯიშები, ვაზისა და ღვინის კულტურა, ტრადიციები, რიტუალები, საფრთხე შეექმნა მშობლიურ ენასაც, რომელსაც უცხო ტომის სამეტყველო ფორმები შეერია და ჩანთქმას უქადდა... გადაშენების საფრთხის წინაშე თანდათან მეორე მშობლიური ენაც – მუსიკალური დედაენაც დადგა: ქრისტიანული ურთიერთობის ფორმების მოშლამ ტრადიციების თანდათან გაქრობა-მინავლება გამოიწვია და ეს აისახა ტრადიციულ სამუსიკო რეპერტუარსა თუ შესრულების ფორმებზე. აღარვინ ამბობდა უამინდობისას ლაზარეს, აღარვინ აბამდა ფერხულს ამა თუ იმ კალენდარულ დღესასწაულზე, აღარ მღეროდნენ სუფრასთან მესხურ „მრავალჟამიერს"... ამგვარად გათითოკაცდა სოფელი და სიმღერის მთქმელნიც თანდათან მიდიოდნენ ამ წუთისოფლიდან... დადგა ჟამი „ქვათა შეკრებისა" და შოთა ალთუნაშვილმა, ვალერიან მაღრაძესთან ერთად, ხალხური სიმღერების მოძიების მიზნით მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები: მუსხი, ანდრიაწმინდა, სარო, ხიზაბავრა, ტოლოში, გოგაშენი, დილისკარი... ამ სოფლებში მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვდათ სიმღერების ცალკეული ხმები, მაგრამ „ხმის მიმცემი" და სიმღერაში მხარის ამბმელი აღარ ჰყავდათ... ასე ჩაიწერა, სამ ხმად აღადგინა და თავის ანსამბლ "მესხეთში" გააცოცხლა შოთა ალთუნაშვილმა სიმღერები, რომელთაც დღესაც ხშირად გაიგონებთ სამცხე-ჯავახეთსა თუ სრულიად საქართველოში, ამა თუ იმ ანსამბლის შესრულებით: საქორწილო „ოთხი წყარო დის" და „ავთანდილ გადინადირა", სუფრული „მრავალჟამიერი", საფერხულო „ჩიტის ნალი მიპოვნია" და „მამლი მუხასა", ორსართულიანი ფერხული „სამყრელო", სხვადასხვა დროს სათქმელი „მეფე ჩამოჯდა ხანდოსა", „ძმანო", „გეგუთისა მინდორზედა" და სხვანი... 1960-იან წლებში შეიქმნა მუსიკალიურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ვარძიობა-ძიობა" (ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი), რომელმაც არაერთი წარმატება მოუტანა ანსამბლს სხვადასხვა რანგის ფესტივალსა თუ კონკურსზე.

შოთა ალთუნაშვილმა ახალციხის სამუსიკო სკოლაში მოღვაწეობის მანძილზე მრავალი თაობა აღზარდა და მრავალ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ცხოვრების ასპარეზზე, მათ შორის – საკუთარ შვილებსაც: სამივე ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და ცხოვრების საქმედ მუსიკა აირჩია – კახა და გოჩა ლოტბარია, ჰოლანდიაში ცხოვრობენ და იქაურებს ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიან. პაატამ 80-იან წლებში თანატოლებისგან შექმნა ფოლკლორული ანსამბლი „დიაოხი", რომელმაც აქტიური მოღვაწეობის წლებში მრავალ წარმატებას მიაღწია. „დიაოხელები" ახლაც ხშირად იკრიბებიან და ცდილობენ, კონცერტზე თუ არა, ოჯახებში იმღერონ და თავიანთ შვილებს მესხური სიმღერა არ დაავიწყებინონ. რაც შეეხება ანსამბლ „მესხეთს", მას დღესდღეობით შოთა ალთუნაშვილის აღზრდილი ლოტბარი ზაზა თამარაშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი ერთ-ერთი საუკეთესო ფოლკლორული კოლექტივია მთელ საქართველოში, ამასთან, მესხური სიმღერის სიცოცხლისუნარიანობის ბურჯი და გარანტიაა.

* * *

კიდევ ერთი გამორჩეული საქმეა – შოთა ალთუნაშვილის ღვაწლი ქართული ტრადიციული გალობის აღდგენა-დამკვიდრებაში. ეს მაშინ იყო, როცა საქართველოში თითო-ოროლა ტაძარი თუ იყო მოქმედი, თორემ გალობაზე ვინღა ფიქრობდა... ერთ-ერთ ინტერვიუში ლოტბარი ბრძანებს: „ახალგაზრდობაში თბილისის სიონის ტაძარში ვგალობდი. ეს იყო 1953-55-იანი წლები. გუნდი ჩემი ლექტორის, გიორგი ხახანაშვილის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა. ეს გუნდი შემდეგ მე გადმომბარა. შემდეგში, აქ რომ ჩამოვედი, დიდი პრობლემები გვქონდა, კომუნისტების პერიოდი იყო, 70-იანი წლები, მაგრამ მე მაინც გავაკეთე გუნდი, რომელსაც საგალობლებს თბილისიდან წამოღებულ კარბელაშვილების კრებულიდან ვაგალობებდი"...

შოთა ალთუნაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა თავის ქვეყანას და 2005 წლის 11 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. დაკრძალულია ახალციხეში, რაბათის სასაფლაოზე.

ახალციხის ანსამბლი „მესხეთი". 1970-იანი წლები

არასდროს უძებნია-მეთქი პატივი და დიდება, – მეტიც: საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრების დოკუმენტური მატიანეც კი თითქმის არ დაუტოვებია!.. ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუ მისგან მე ჩავიწერე და მისმა სიტყვაძვირობამ გამაოცა – საკუთარ თავზე ძალიან მწირად საუბრობდა... მაგრამ უცილობელი ფაქტია: დღეს თუ მესხეთში მესხური სიმღერა ცოცხლობს, იმ ერთი კაცის ნაღვაწის დამსახურება და უკვდავყოფაა, რომელმაც საშვილიშვილო საქმეს ჩვეული პროფესიონალიზმითა და სიყვარულით მოჰკიდა ხელი და მესხეთს მესხური სიმღერა დაუბრუნა.

ნანა ვალიშვილი,
ეთნომუსიკოლოგი

ავთანდილ ბერიძე

ღმერთო!

მათ ვინ მოკითხოს
წინაპართა ჩვევა, ადათი,
ახლა მე ისევ სანთლით ხელში
ვეძებ სამართალს,
ეს ხეტიალი გაგრძელდება
ნეტავ სადამდის,
ცხოვრება ჩემი
მიიწურა,
ალბათ, გათავდა.

სიმართლის მძებნელს
დასდგომია დარი ოდესმე?
მეც ხომ ვიცოდი
განსაცდელი გზად რომ მელოდა,
ფიქრების ნიჭი,
ასე უხვად
რატომ მომმადლე,
მამულზე დარდი რად მიქციე
ნეტავ ხელობად?!

სიმღერა

იქნება გული ამტკივდა,
ვერ შევეგუე ამ ფერებს,
იქნება გული გაცივდა,
რომ კარგო, არ მომეფერე.

მე შენზე ფიქრით ვკვდებოდი,
ხეებს ფოთლები ცვიოდა,
არ მოხველ, არ გაგახსენდი,
შენით რომ გული მტკიოდა.

რაღაა წუთისოფელი, –
ერთი გავლა და ფიქრია,
ამ დღეებს მაღლა უფალთან
ანგელოზები გვითვლიან.

ღმერთსა ვთხოვ, შენთვის მეცქირა,
– ჩემთვის ყველა დღე ბინდია,
არვისგან არას მოველი,
ვინც მოდის, ყველა მიდიან.

შენ კი რა იყავ ასეთი,
გულში რად მიჩენ იარებს,
იქნება სხვა შეიყვარე,
მოსვლა რომ დავაგვიანე.

***

რუსთაველიდან ჩვენამდე
რა დიდი გზაა, რა შარა,
დრომ, ულმობელმა, ვერასგზით
ეს გზა მაინც ვერ წაშალა.

***

ეს მერამდენე გავტეხე ღამე
და არაფერის პატრონი არ ვარ,
იქნება მითხრა ძვირფასო რამე,
მთვარეულივით ნეტავ რად დავალ...

იქნებ განგებამ ინება ასე, –
სათქმელსაც ხშირად რომ ვეღარ ვამბობ,
რომ ჩემი გული ცრემლებით სავსე
ვეღარ გიგზავნის შორიდან ამბორს.

იმედი რატომ გადამეწურა,
ახლო ნაპირიც რომ არსად არ ჩანს,
ნეტავ საწუთრო რატომ მემწუხრა,
ხვალის იმედიც რომ აღარ დამრჩა.

დაოსებული ვგავარ ნამეხარს,
ვარდებიც დაჭკნა შენს მოლოდინში,
ნეტავი მაინც ერთხელ მანახა,
ცრემლი დამშრალი დამჭკნარ გუგებში.

იქნებ სიკვდილსაც დაედო ფასი,
აუხდენელი ნატვრაც დაბერდა,
რომ ვეღარ გავხდი ვერაფრის ღირსი
მე ამ უსახურ დროსთან – ავბედთან.

***

ღმერთო, იმდენი შემაძლებინე,
კაცურად განვლო გზა დარჩენილი,
რომ არავისგან, არაფრის გამო,
ჩემ სამშობლოდან ვიქცე დევნილი.

ნატვრად არ მექცეს ეს ცა ფირუზი,
მხარე – რუსთველის ლექსით ნაფერი,
რომ გოჯი მიწა გზა-გზა ვატარო,
სხვაგან არ ვძებნო თავშესაფარი.

***

ვისაც რა გინდა ის უთხარ,
არ შეისმენენ არაფერს,
ჭკვიანი ხმასაც ვერ იღებს,
გიჟებს კი ალაპარაკებს.

სამშობლო დაგვიჩიავდა
მხრებგაშლილი რომ გვეგონა,
მოყვარე მტერი გაგვიხდა,
მტერი კი „დაგვიმეგობრდა!"

არსენ კარაპეტიანი

გულის საუნჯე

ზღვა ყოფილიყო – დავლევდი,
ფსკერს მოვნახავდი კიდესას,
ვიტყოდი, – საქმე დავიწყე
და დავამთავრე კიდევაც.

გულის საუნჯეს რა ვუყო,
რა უთვალავი მდებია.
რაც თავი მახსოვს, ვატარებ,
ჯერ ბეწვიც არ მოჰკლებია.

არ მინდა დამრჩეს უთქმელი
არც ერთი სიტყვა ფრთიანი,
მინდა დავცალო ეს გული
თავის საუნჯით მთლიანით.

მაგრამ კი ვიცი ვერ შევძლებ,
ნიადაგ ღამის მთეველი,
მოვკვდები და თან გამყვება
საუნჯე დაულეველი.

დედის თვალები

სადაც არ ვიყო, დამდევენ შუქად
ღამენათევი და ნაწვალები,
ყველაზე თბილი, ყველაზე ტკბილი
დედის თვალები.

ჩრდილიან ფიქრებს, ნისლიან ფიქრებს,
შემოღამებას მზიურ ალებით,
ფანტავენ უმალ, სიკეთით სავსე
დედის თვალები.

მინახავს ქვეყნად ბევრი თვალები,
იისფერები, მაყვლის თვალები,
და ყველას ჩრდილავს შეუდარები
დედის თვალები.

თუ ქარი არ ჰქრის

თუ ქარი არ ჰქრის ფაფარაშლილი,
ფრთაშემართული ამაყი ქარი,
გულისწამღები თუ დგას დუმილი
განურჩეველი ბატონობს დარი.

არ მიხარია – ცუდი დარია,
მთაზე ნისლები დაძრწიან და სცრის.
ჩემს გულს ნამდვილად არ უხარია,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!

თუ ქარი არ ჰქრის მინდორში, ველად,
თუ მის ქროლვაზე ნარი თავს არ ხრის.
აბა, ვარდისთვის სადღაა შველა,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!

თუ ქარი არ ჰქრის ქვეყნის მშვენებად,
გამარჩეველად ავის და კარგის,
მყობადის უფრო ნათელ შენებად,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!..

კრემენჩუკიდან მოჰქროდა ცხენი

(მირიან ბატონიშვილს უკრაინიდან საქართველოში მოჰქონდა დ. გურამიშვილის „დავითიანი“)

კრემენჩუკიდან მოჰქროდა ცხენი,
ცხენი სადავეწამოწყვეტილი,
მხედარს მკერდს ეკრა ნაღვაწი შენი,
ტრამალებს გლეჯდა კვლავ ქარტეხილი.

ქროდა ქარივით ქერა ქურანი
და ქარს აჩენდა ქათიბ მდელოზე,
მხედარს გარს ერტყა ფიქრთა ბურანი, –
ფიქრთა ბურანი საქართველოზე.

გზად მოჰკიოდა გულის ძახილით
და გულში გზნებით მღეროდა იგი:
„დარჩა სამშობლოვ, სიტყვის მახვილი,
ბერი ბულბული ტრამალებს იქით.“

ვეფხვივით ვუტევ გატყორცნილ მანძილს,
მოვდივარ, აჰა, ცხენთა თქერებით,
გულს მაკერია ძვირფასი განძი –
ბრძენი დავითის ტკბილ სიმღერებით.

მომაქვს საუნჯე უკრაინიდან –
ქართული სიტყვის გვირგვინის ფოჩად,
დილის ცვარ-ნამზე კაშკაშა, წმინდა,
შოთას ფესვებზე გაზრდილი ღოჯად.

ბრძოლის რაინდი იყავ გმირია
და მარად ბრწყინავს დიდება მისი,
შენც გიბრძოლია გმირო მირიან,
არ დაგივიწყებს ერი შენ თვისი.

რა იქნებოდა, რა სავალალო,
შავ ბედს რომ სადმე დაერტყა მეხი,
მტერი მჯდარიყო ან სავალალოდ
ცხენს რომ ქარაფზე წაერტყა ფეხი.

ეს ფიქრი ახლაც შემძრავს ხანდახან
და ჟრუანტელი დამივლის ტანში.
მოდი, რაინდო, გიხმობ, სადა ხარ!
ლამის მე მარტომ შემოვკრა ტაში.

მე მინდა, რომ...

მე რა მინდა?.. მე მინდა რომ
სამშვიდობო რეკდეს ზარი,
ლივლივებდეს მთების წყარო,
ღაღადებდეს მთა და ბარი.

მე მინდა რომ მზე ბრწყინავდეს
აქაც, იქაც, ყველგან, ყველგან,
სიყვარული არ მოთავდეს,
აღმოცენდეს ახალ ნერგად.

მე მინდა, რომ ქვეყნად არვის
წვეთი სისხლი არ სდიოდეს,
არ სციოდეს, არ სტკიოდეს,
ხვედრზე არვინ არ ჩიოდეს.

არსად ობოლს არ შიოდეს,
ცხარე ცრემლი არ სცვიოდეს,
მიწას ორთქლი ასდიოდეს,
მშრომელს სიტყვა გასდიოდეს...

როგორ იქნება

შხამით რად მოკვდა სოკრატე ბრძენი,
რა დარდი ჰქონდა ისეთი ნეტავ?
რად მოუსწრაფეს იბნ-სინას დღენი,
როს კაშკაშებდა დიდ ნათლის სვეტად.

რად გადიხვეწა დიდი რუსთველი?
დიდ ილიას რად ესროლეს ტყვია?
რატომ დაფერფლეს ჯორდანო ქველი?
ვერ გამიგია, ვერ გამიგია!..

ყოველთვის, როცა ახალი ძალით
ფიქრებს ავყვები, ვკითხულობ: რისთვის?
ყურში ჩამესმის ხმა იდუმალი:
„დიდი აზრისთვის, სიმართლის თქმისთვის!“

და გული მტკივა განუკურნელად,
არ ვიცი, ამას მე რა ვუწოდო,
სიბრძნეს უვიცი თუ ჰყავდა მცველად,
ვის მოეკითხოს ბრალი და ცოდო!..

წარსულს განკითხვად ბნელ შუბლზე აზის,
სიმართლის დევნა, მხეცობის მჩენი,
როგორ იქნება ჩააქრო აზრი,
როგორ იქნება მოაშთო ბრძენი?!..

სიყვარულს ვფიცავ

ნეტა ვინ იყო ქვეყნად პირველი
რომ აეხილა ავ-კარგზე თვალი,
ვინც ბოროტებას აუკრა ხელი,
დაჰგმო სიცრუე, იძმო მართალი.

მას შემდეგ ბევრმა გაიფრთხო ძილი,
რომ გაერჩია ცოდო და ბრალი,
რაა ბოროტი, რაა კეთილი,
რაა სიცრუე, რაა მართალი.

ბრძოლით გავიდა წლები მრავალი,
საუკუნენი – აზრთა ჭიდილით,
და დღესაც კიდევ ახალი ძალით
იგივე კითხვის დაძრწის აჩრდილი.

რაა ბოროტი? – კაცია ისიც,
შურიანი და ავის მდომელი.
ის შეწყნარების არ არის ღირსი
გველივით უნდა მოსწყვიტო წელი.

ბოროტებისგან ძრწოდა ქვეყანა
და ტრიალებდა ცოდო და ბრალი,
სადაც ის მძლავრობს, ლესავენ დანას,
კვნესის კეთილი და სამართალი.

ადამიანო, გაუგე დრო-ჟამს,
უნდა გაერთხას ბოროტი მიწას.
მაღლა აღმართე სიკეთის დროშა,
ძმობას, ერთობას, სიყვარულს ვფიცავ!

***

იმ მაღალ მთაზე თოვლია მუდამ,
მაგრამ მის მკერდზე – ზაფხული მწველი,
მეც მისი ბაძი ნიადაგ მსურდა,
ახლაც მის სახეს ნუგეშად ველი.
არ შეგაშინოს ჩემმა ჭაღარამ,
არ დამიწუნო თმა დათოვლილი,
ტრფობის კოცონი გიზგიზებს მარად,
მეც იმ მთასავით ცხელი მაქვს გული.

მე შენზე ფიქრი ვერ მივატოვე

მთვარე შეჭრილი სილაჟვარდეში
მორცხვ ქალწულივით იხედებოდა,
სუნთქვა ჩავტოვე წითელ ვარდებში
და გათენებით გული მწყდებოდა.
შორს მიტაცებდა წრფელი ალერსი
და მოკრძალებაც ღამეს ათევდა,
ფანჯრის მინაზე გაკრთა აისი
და გრძნობის თქეშში უცბად გათენდა.
თუმცა დარჩენა მსურდა გულითაც,
მე შენს სუნთქვასთან ყოფნა მარადის,
მაინც „მშვიდობით!“ – გითხარ გულითადს
და გული ძგერდა: „კარგო, ნახვამდის“.
ასე გაფრინდა ჭრელ სიზმარივით
იმ თეთრი ღამის ტკბილი წუთები,
მზეც ამოცურდა ცაზე დალივით
და „გშორდებოდი“ სხვით აუნთები.
ფიქრთა თარეშით მოვაწყდი თბილისს,
დამხვდა ქალაქი დაუძინარი,
ვგრძნობ დაშორება ჟრუანტლად მივლის,
ქუჩა სველია, ცა – ნაწვიმარი...
ფიქრით შენთან ვარ... ქრება მირაჟი
და გარს მეხვევა კვლავ სიმარტოვე,
შენსკენ მეძახის ბედის რიჟრაჟი,
მე შენზე ფიქრი ვერ მივატოვე...
დღეს მე თბილისის მზე დამქათქათებს
და რუსთაველის მხიბლავს გენია,
შენი ტრფობა კი ცეცხლივით მანთებს
და გულიც მძევლად შენ დაგრჩენია.

სომხეთი და საქართველო

დაე, ქუხდეს ხალხის ნება
აქაც, იქაც, შინ და გარეთ,
ხალხთა ყოფის გათენებას
ზეიმობდეს არე-მარე.
დაე, ამ მზის მწველ თაკარამ
მუდამ ანთოს ხალხის შვება,
იმჩქეფაროს აწ და მარად
ძმობის წყლებმა ჩანჩქერებად.
დაე, მარად გასცდეს არეს
ბრძოლისა და შრომის ლელო,
კვლავ აყვავდეს ტურფა მხარე –
სომხეთი და საქართველო.

სონეტი ილია ჭავჭავაძეზე

(აკროსტიხი)

წიწამურიდან რად სისინებს
ქარი აშარი?
გლოვის ხმა ისმის მის ქროლვაში,
– სჯერა არავის;
ცის სიკამკამეს რად განერთხო
ღრუბელი შავი,
საგურამოდან რა ხმა ისმის
ასე მზარავი?
მჭვალავი გლოვით რად მოსთქვამენ
ქართვლის დედები,
თალხში რატომ ზის სულ კაშკაშა
მზე ოქროსფერი,
სვავთა ყაშყაშზე რად წყრებიან
თეთრი ქედები,
ეჭვი გულსა ღრნის, ვის დასტირის
ქართველი ერი?..
ჭავჭავაძეზე ვინ აღმართა
ბინძური ხელი,
ივრის ტალღები ვინ აკვნესა
ალაზნიანი.
საქართველოს კვლავ ვინ გაუხსნა
ჭრილობა მწველი?
მძაფრი ქარი ქრის მწარე გლოვის
თანაზიარი.
„ვერა ვერ მოჰკლეს“ – ხმა გუგუნებს
მთაში თუ ბარად, –
ის ხალხთან იყო, ხალხთან არის,
იცოცხლებს მარად!“

ფოთლები

შემოდგომაა, ცრიატი დარი,
სისინებს ქარი, საგრძნობლად ცივა.
შეშფოთებულა ხეების ჯარი –
ფოთლები სცვივათ, ფოთლები სცვივათ...
მგონია ხეებს ნაფოთლარები
უჟრიალებთ და უწივით ცივად.
ქარი უბერავს კვლავ გამეტებით,
ფოთლები სცვივათ, ფოთლები სცვივათ...
ამ ფოთოლცვენას თვალგაშტერებით
თან შევყურებ და თან გული მტკივა
ვხვდები: რაღაცით მეც ხეებს ვგავარ –
ამ ფოთლებივით დღეები მცვივა.
აგერ, სულ მალე მკაცრი ტაროსი
აქარიშხლდება ტყეში და ველად.
ხეებს გაძარცვავს მძლავრ ფრთების მოსმით,
ხეთა შრიალიც მიწყდება ხელად.
ჩემი ტაროსიც დადგება ვიცი,
ჩემი სიცოცხლის ზამთრისპირული,
მეც ქარიშხალი დამბერავს ციმციმ
განვიძარცვები მით განწირული.
ასეა ქვეყნის წესი და რიგი –
ყველა ბუნების ამ ზღვართან მივა,
ერთ დღეს გრიგალი მოჰყვება შლიგინს –
ვის ფოთლები და ვის წლები სცვივა.
ეცადე, ძმაო, დატოვო რამე,
არგე ქვეყანას, უქმად ნუ გძინავს,
თორემ ხომ ხედავ, გარბის დღე, ღამე,
ხეს ფოთლები და კაცს დღენი სცვივა.

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

(გაგრძ. დასაწყ. იხ. N10-11-12-13 2022 წ. N1,2,4 2023)

ჯავახეთი

ახალქალაქიდან სამხრეთით, საათნახევრიანი გზის შემდეგ, მდინარე თავფარავნის ნაპირს რომ მივაღწიეთ, იქ იგი უკვე კარგა გვარიან მდინარედ იქცა, რომელიც პლატოზე მდორედ მიედინებოდა. მას ქალაქის ქვემოთ, მარცხენა ნაპირიდან, ჩილდირის მთების ჩრდილო კალთებიდან გამომავალი მდინარე ერთვოდა, უკიდურესი დასავლეთით კი, მარჯვენა ნაპირიდან, მდინარე სამსარი, რომელსაც ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთი მკლავიდან[1] ნაკადი მოაქვს და ღრმად ეროზირებულ კალაპოტში მიედინება.[2]

ახალქალაქთან თავფარავანი ქარაფებითაა შემოზღუდული, ერთგვარი კანიონი, ანდაც ქვაბული, რომელიც ვაკობზე დაკლაკნილ ნაპრალს წააგავს. კლდის მწვერვალებს თუ მიაღწევ, მოსწორებულ ადგილზე მოხვდები, ბრტყელი ან ტალღოვანი მიწის ზედაპირით, რომელიც მთათა ჯაჭვის უკიდურეს საზღვრებამდე შენს გარშემოა გადაჭიმული.

ვიწრო ხეობიდან გამოსვლისას უფრო და უფრო ძლიერ ჰაერს გრძნობ; ქალაქი კლდის კიდიდან ცოტაოდენი მოშორებით მდებარეობს, რომელიც მდინარის მარცხენა სანაპიროზე ამოზიდულა. მაგრამ როგორ აღვუწერო ჩემს მკითხველს იმ დასახლების სურათი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერთსართულიანი, ბრტყლად გადახურული სახლების ერთობლიობა, რომლებიც ვაკობზეა განლაგებული, თითქოს შემთხვევით შექუჩულიყვნენ იქ.

არ ღირდა კამერა მიმემართა ისეთ უმნიშვნელო საგნებზე, როგორიცაა ბრტყელი სახურავი, რომელსაც გადამხმარი ბალახი ფარავდა და, რომელიც მიწის ზედაპირის ფორმებსა და ფერს იმეორებდა. თანაც, ახალქალაქი ციხესიმაგრეა; კამერის გამოყენება აკრძალულია – მშვენიერი ამბავი ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ციხის ჯაშუშობა ნაკლებ თავშესაქცევი ამბავი იყო ამ ქვეყანაში; როგორც ზღვაში ესპანეთის ფლოტის ნახვა გაგიჭირდება, მათი აღმოჩენაც ძნელი საქმეა.

მდინარის თავზე ძველი ციხე აღედგინათ და ყაზარმებად ექციათ; ამავე დანიშნულების იყო ქალაქის შემოგარენში მდებარე რამდენიმე ქვის ნაგებობა. არ ვიცი, შესაძლოა თუ არა ომის ღმერთი სხვაგვრად იყოს წარმოდგენილი; თუმცა, მეტი პატივი სამართლიანობის ნახევრად ღმერთებს რგებოდათ. აკი მაზრის უფროსმაც აღნიშნა ჩემთან საუბარში – რაც საკმაოდ ცხადი იყო, რომ ციხე გარეუბანში ერთადერთი ორსართულიანი შენობაა ამ ადგილას.

თითო-ოროლა სახლი, მაზრის უფროსის სახლის ჩათვლით, მეტალის ფირფიტებით გადაეხურათ, რომელიც სასიამოვნო წითელ ფერად იყო შეღებილი. თუმცა, ყველა საცხოვრისი მყარი ქვის წყობით კარგად ნაშენი ჩანდა; და ამ ადგილზე არსებული ერთი-ორი ქუჩა უდაოდ ფართო იყო, თუმცა ცუდად მოვლილი და მტვერში ჩაფლული.

მისვლისას მაწანწალა ძაღლების ხროვა შემოგვეგება, თითქოს აღმოსავლეთის წმინდა ქალაქში შევსულიყავით. ჯერ კიდევ არის აქ რამდენიმე ახალი მაღაზია და შესამჩნევად დიდი მანუფაქტურული ადგილი, სადაც ცივილური ცხოვრებისთვის საჭირო ნივთები შეიძლება შეიძინო.

სახლების სახურავებისთვის ხის ქუდებია დამახასიათებელი, რაც იშვიათობა არაა სომხეთის ქალაქებში; ისინი ბუხრის ღიობებს იცავენ და ევროპელის თვალში ეს ერთგვარი სახიფათო რამაა. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ახალქალაქის, ახალი ციხის იერმა და ხასიათმა. ბილიკები, რომლებიც ძლივს შესამჩნევად სერავენ მიწას, ქალაქის შემოგარენისკენ მიემართებიან, რომელიც დასახლების სიახლოვეს საკმაოდ შიშველი და უღიმღამოა.

ახალციხისა და ბორჯომის ხეობის გავლით არსებული დამაკავშირებელი მთავარი გზის გარდა ქალაქი დანარჩენ საქართველოს იმ გზით უკავშირდება, რომელიც თრიალეთის მთებს კვეთს და ამ უკანასკნელს უმოკლესი გზით უერთდება. სწორედ ეს გზა გვიჩვენეს, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე კლდის თავზეა მოქცეული, როდესაც მის მარცხენა ნაპირზე გადავედით. ჩამოიტოვებს რა მარჯვნივ ტაბაწყურის ტბას, იგი ამ მთათა სისტემის თხემზე ექცევა და მას ზღვის დონიდან 8000 ფუტი სიმაღლის უღელტეხილით კვეთს.[3] ეჭვგარეშეა, თბილისში შეიძლება მდინარე ხრამის ხეობის გავლითაც მოხვდე, თუმცა მე არავითარი ინფორმაცია არ გამაჩნია ამ გზის ბუნების შესახებ.

ამ შორეულ პროვინციებში შოსეებს იშვიათად ნახავთ; შესაძლოა მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, როდესაც შეიტყობს, რომ გზა, რომელიც ჩვენ გავიარეთ ახალქალაქიდან, მხოლოდ 1892 წელს დასრულებულა. რუსული ოკუპაციის წინა წლებში ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრიდან, როგორიც ალექსანდროპოლია, ფოსტა უცხო ქვეყნების მიმართულებით თავფარავნის ხეობის ქვაღორღიანი გზით გადაჰქონდათ.

ახალქალაქი რუსეთს 1828 წლის სამხედრო კამპანიის შემდეგ ეკუთვნის, რომელიც მარშალ პასკევიჩის შტურმის შედეგად აიღეს. თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ იყო რუსული ჯარების ციხესიმაგრეში შესვლისა; იგი 1812 წელს ჩაუვარდა ხელში გენერალ კუტლერუსკის, რომელიც გორიდან გამოემართა და გარნიზონი მოულოდნელად აიღო.

პასკევიჩის დროს ციხის მცველები შეუპოვარი მეომრები აღმოჩენილან, რომლებიც აქ მცხოვრებთა საუკეთესო მეომართაგან შეუკრებიათ და საკუთარი ბეგების წინამძღოლობით თავიანთ ქვეყანას ემსახურებოდნენ. ყარსის გამარჯვებით აღტყინებული გენერალი ციხის კედლებთან გამოცხადებულა და თურქი სარდლისათვის დანებება მოუთხოვია. ემისრებს პასუხად მიუგეს, რომ ქალები და ბავშვები უკვე გეხიზნათ, ხოლო კაცებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, სიკვდილამდე დაეცვათ იქაურობა. მათმა რაოდენობამ 1000 კაცი შეადგინა, 14 ქემეხით; თან რუსებს ერთი გამოთქმა შეახსენეს, რომ ერთი ახალციხელი მეომარი ორ ყარსელ და სამ ერევნელ მეომარს უდრიდა.

წითელი დროშები კედლებზე გამოეფინათ და მთელი ალყის განმავლობაში ისმოდა, როგორ იმეორებდა მთელი გარნიზონი მოლას ლოცვებს, რომელიც მორწმუნეებს მინარეთის აივნიდან მიმართავდა. მას ფიცი დაედო, რომ ისიც მათ ბედს გაიზიარებდა. კაზაკმა ოფიცერმა წინ წაიწია და მათთან მოლაპარაკება სცადა; მაგრამ რამდენიმე ტყვია მოხვდა და დაეცა.

საარტილერიო ქვედანაყოფისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; მტრის გასაცურებლადაც, როგორც ჩანს, არაფერი უცდიათ. რუსულმა ქვემეხმა კედლები ჩამოაქციეს, მათმა შაშხანებმა ციხის მცველები გაანადგურეს, სდევნიდნენ რა მათ კედლიდან კედლამდე. პასკევიჩმა ბრძანება გასცა, რომ ცეცხლი შეეწყვიტათ და დანებება ხელახლა მოითხოვა. პასუხი იგივე იყო. თავდასხმის ყიჟინა გაისმა. არც კაზაკები წასულან დათმობაზე და თავდამსხმელთა ღირსება მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდა, როდესაც ექვსასი ახალციხელი მეომარი ნაცარმა შთანთქა.[4]

ჩვენი სტუმრობისას ქალაქისა და ადმინისტრაციული მხარის სამოქალაქო მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ტარასოვი იყო; მან მეტისმეტი თავაზიანობით მიგვიღო. ამის გამო ჩვენ კარვები მივატოვეთ და მის სტუმართმოყვარე ოჯახურ წრეს შევუერთდით, ქვეყნის მრავალ საინტერესო თვისებაზე ვისაუბრეთ და საამო ჩაი ვსვით უსასრულოდ.

გავიგეთ, რომ ახალციხის გზა მისი ბრძანებით გაუყვანიათ; გზის გაყვანა და ქვების ჭრა ბერძენი მუშების საქმე ყოფილა, ხოლო მოსწორებაზე იძულებითი შრომა გამოუყენებიათ. გზა რუსული მთავრობის საკუთრებაა, ხოლო ფოსტის გადასატანად ცხენებს დამკვეთები უზრუნველყოფენ.

ადმინისტრაციული საქმიანობა ძალიან პრიმიტიულად სწარმოებს, თუმცა კი გონივრულად: ერთი სოფლის მამასახლისი რამდენიმე სოფლის საერთო მამასახლისის წინაშეა პასუხისმგებელი, რომელიც თავის მხრივ მაზრის უფროსის წინაშე აგებს პასუხს.

პოლიციის გარდა, რომელთა შორის სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათი უხეში სახეები მათ ცნობილ თვინიერებას ეწინააღმდეგება, პოლკოვნიკ ტარასოვს თავის განკარგულებაში კაზაკების რაზმი ჰყავს; და, რა თქმა უნდა, შეუძლია მხარის ჯარებს მოუხმოს, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სასწრაფო საქმე გაჩნდება. მაზრის უფროსის გარდა ყველა დიდ ქალაქში მუდმივად მცხოვრები სასამართლო მოხელეა, რომელიც მართლმსაჯულებას აღასრულებს როგორც ex contractu ასევე ex delicto, ხოლო მისი გამოტანილი განაჩენი შესაძლოა სამხარეო სასამართლოში გასაჩივრდეს.

როგორც წესი, სომხურ პროვინციებში, დაწყებითი განათლების საჭიროება უზრუნველყოფილია ორმაგი წყაროს საშუალებით. ამ სფეროში სომხები პირველები არიან, რომელთაც თავიანთი ცალკე ორგანიზაცია აქვთ; რუსულ სახელმწიფო სკოლაში ბევრი არ დადის და, სავარაუდოდ, კარგადაც არ ასწავლიან.

მიუხედავად ამისა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსული სკოლის ხელმძღვანელმა, როგორც უნარიანმა და მეტად სასიამოვნო პიროვნებამ. იგი ქართველი იყო, რომელიც მშობლიურ ქართულზე ლაპარაკობდა; მისი ცოლი და მთელი ოჯახი ქართულ ტანისამოსს ატარებდა. მათი მოსწავლეები 150 ბიჭისა და ახალგაზრდისაგან შედგებოდა, რომელთაგან ყველა, ან თითქმის უმეტესობა სომეხი იყო.

სკოლა იძლეოდა როგორც დაწყებით, ასევე საშუალო განათლებას. ამ პრივილეგიის გამო მის მეტოქე სომხურ სკოლას, რა თქმა უნდა შურდა; ნებადართულია მხოლოდ ორი დაწყებითი კლასი, რომელსაც მოსწავლეები 12 წლისანი ასრულებენ. სიაში 250 ბიჭი და 300 გოგო იყო. დაწესებულებას ერთი სამკითხველო ოთახი და ბიბლიოთეკა ჰქონდა და, როგორც ჩანდა, მასწავლებლები იმაზე მეტი განათლებისა და უნარისანი იყვნენ, ვიდრე ეს ამგვარ დაწესებულებას მოეთხოვება.

პოლკოვნიკ ტარასოვთან ერთად ვიჯექი მის კარგად მოწყობილ ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ის თავისი კლასიკური პროტოტიპების დადგენილი წესის საპირისპიროდ მოქმედებდა. შემოვიდა ასაკოვანი, ჩალმიანი მაჰმადიანი. საზოგადოებრივი მდგომარეობით საეჭვო რეპუტაციის მოლა. ახალქალაქში ფულის შეგროვების მიზნით მოსულიყო, რომ წმინდა წიგნები ეყიდა. თუმცა, ამ მიზნით გამოწერის უფლება მხოლოდ უფროს მოლას აქვს. მაგრამ სად არის წერილობითი თანხმობა ამ ღვთის გლახას სასარგებლოდ, რომელსაც უწმინდესის (შეიჰ ულ-ისლამის – მთარგმნ.) ბეჭედი უნდა ერტყას? ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ეს საქმე არ მოგვარებულიყო. მას უარის თქმა მოუწევს თავის შეგროვილ წიგნებზე. იგი დუმს. შემდეგ მომლოდინეს იძახებენ.

შემოდის უხეშად ჩაცმული ქართველი გლეხი, გამხდარი აღნაგობის, დამწუხრებული სახით. ღამით მაზრის ერთ სოფელში მდგარა და მისთვის სამი ძროხა მოუპარავთ. მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა, – დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ დანაკარგი; ორი ძროხა მისცეს, თუმცა მესამე ვერ დაიბრუნა. მაშინ მაზრის უფროსმა გადაწყვიტა, რომ თავად სოფელს აენაზღაურებინა დანაკარგი. აღტაცებულია და გაკვირვება ჩანს ღარიბი კაცის თვალებში.

შემდეგ შემოდის საშუალო კლასის ქართველი, რომელმაც ჩვენზე მოსულელო ტიპის შთაბეჭდილება დატოვა; იგი მეტად უცნაური საჩივრით იყო მოსული. როგორც ჩანს, ძმასთან ჩხუბი მოსვლია, ამ დროს კი ერთად სახლობენ თურმე. ქონება გაუყვიათ და ერთმანეთს დამდურებიან. მომჩივანი მაზრის უფროსისგან მოითხოვს, რომ მის ძმას ცალკე კარის გაჭრა მოსთხოვოს. ძლივს ვიკავებ თავს, რომ არ ვუმუხთლო ჩემს მასპინძელს ხმამაღალი სიცილით; იგი შუბლს იჭმუხნავს და მომჩივანს მკაცრი სიტყვებით ისტუმრებს.

შემოდის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ძმასთან ერთად ცხოვრობს და ერთნაირ საქმიანობას ეწევიან. ისე მოხდა, რომ ორივე სამხედრო სამსახურში გაინვიეს; აინტერესებს, შეიძლება თუ არა, რომელიმე გათავისუფლდეს სავალდებულო სამსახურისაგან? ოჯახის მარჩენლებს ამის ნება აქვთ და ამიერკავკასიაში სამხედრო ბეგარას ნაკლები რაოდენობის კაცი იხდის. თუმცა პოლკოვნიკი მიიჩნევს, რომ გამოძახება მაინც უნდა მოხდეს; სამსახური მცირეხნიანი იქნება და ორივე ძმისთვის სასარგებლო.

ქალაქ ახალქალაქის აღმოსავლეთით, რომელიც თითქმის დასავლეთ ფერდობის გრძელ ჯაჭვს ეკვრის, პლატოს ზედაპირზე კვადრატული ფორმის მთათა უზარმაზარი მასა წამომართულა (სურ. აბული). მისი სიმაღლე თითქმის 11000 ფუტს აღწევს; თუმცა, მისი შთამბეჭდავი ახოვანება თავისი დიდებულების ნახევარს მოსაზღვრე ტრამალის უზარმაზარი სივრცეების გამო კარგავს. მაგრამ მთა გარშემო ყველა სილუეტს ჩრდილავს; მისი მწვერვალი მეზობელ სიმაღლეებს გადაჰყურებს ზემოდან. როდესაც მდინარე თავფარავანის ღრმა ხეობიდან გამოვედით და პლატოს ზედაპირს მივაღწიეთ, ჩვენი თავდაპირველი საფიქრალი ის იყო, რომ ამ შემაღლებულ ადგილას ავსულიყავით, რათა ამ სწორი სივრცისათვის გადაგვეხედა, რომელსაც ბუნდოვანი და შორეული ქედები ესაზღვრებოდა და რომლებიც ახლა ჩვენს წინაშე გადაშლილიყო ყოველი მხრიდან.

ჩვენი მისვლის შემდეგ, დილით, ცხენები მოგვიყვანეს, რომ მაღალი ფერდობების ძირამდე მივსულიყავით. გვითხრეს, რომ მთისათვის სანახევროდ უნდა შემოგვეარა, რათა მასზე ასვლა აღმოსავლეთის მხრიდან დაგვეწყო. მაგრამ რატომ უნდა გვეთქვა უარი უახლოესი დასავლეთ ფერდობების მაცდუნებელ გრადიენტებზე, რომელიც შენსკენ მოემართება ტალღათა ჰარმონიული რიგით? მაგრამ სად უნდა მიგვეღო ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი? ამ ცდის გამო შესაძლოა მთელი დღეც დაგვეკარგა. ასე რომ, დავემორჩილეთ ჩვენი ადგილობრივი გამყოლის გადაწყვეტილებას და დავყაბულდით გრძელ გზას. რამდენიმე მილის გავლის შემდეგ დასავლეთით დიდი დაბლობი გადაიჭიმა, ზღვასავით სივრცე, სადაც ალაგ-ალაგ ერთმანეთს ნასვენი და ნაყანევი ნაკვეთები ენაცვლებოდა, უხეო,

[1] ახალქალაქის დაბლობი ტაბაწყურის ტბის მხარეს ყურესავით ან მკლავივით გრძელდება. ტბის მხრიდან მომავალმა რადემ მიიჩნია, რომ საკუთრივ დაბლობი სოფელ კესტანოსთან იწყება (რომელიც ჩემი აზრით რუსულ რუკაზე აღნიშნული სოფელი ბეჟანო უნდა იყოს და ტბიდან 1000 ფუტ მეტრზე დაბლა უნდა მდებარეობდეს). მაშასადამე, დაბლობი ზღვის დონიდან 5650 ფუტ სიმაღლეზე და ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე უნდა იყოს. რუკაზე სოფელ ბეჟანოდან ხოზაფინის ტბის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით პირდაპირი მანძილი 36 მილია.

[2] Radde, Petermann's Mitth. 1876წ. გვ. 143

[3] რადე ნამდვილად ცდება, რომელიც ყარაკაიას უღელტეხილს 9500 ფუტის სიმაღლედ მიიჩნევს (Rade, Petermann's Mitth., 1876წ, გვ. 141).

[4] Monteith (Kars and Erzeroum), გვერდები 85, 168, 173). ჰაქსჰაუზენი გვამცნობს, რომ „არც ერთმა თურქმა არ დაზოგა თავისი სიცოცხლე – ყველა ადგილზე დაიღუპა (Haxthausen, Transcaucasia, გვ. 100). მან ეს ისტორია ჭეშმარიტად აღმოსავლური ფორმით მოისმინა.

# ქაჩოული ფოლკლორი, ჩოგორც წყაროო ე	ის ისტორიის შესასწავლად

ნათელა მოხევიშვილი

ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი მოსე ჯანაშვილი საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ფოლკლორულ მასალებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. თავის წერილებში იგი მიუთითებს, რომ ზეპირსიტყვიერებაში უამრავი ისტორიული მასალაა დაცული, რომელსაც ესაჭიროება „შემოკრება, შესწავლა, შემუშავება. აი ეს წყარონი და მასალები რომ ხელთ გვექნება, მაშინ დაიწერება ნამდვილი და ჭეშმარიტი ისტორია საქართველოსი“.

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი, შეუდარებლად მრავალფეროვანი და ვრცელი მოვლენაა, ... იგი არ განეკუთვნება მხოლოდ სულიერ მოვლენათა სფეროს. მასში, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მატერიალური ცხოვრების მოვლენებს, იმასაც, რითაც ადამიანი ცოცხლობს, ქმნის ხელოვნურ გარემოს და სოციალურ არსებად გვევლინება, ფოლკლორული შემოქმედების სათავე ადამიანთა საზოგადოების პირველ საფეხურზე იდება, მას უძველესი ისტორია აქვს. ქართველ ხალხს ოდითგანვე ფოლკლორის ისეთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური მარგალიტები შეუქმნია, რომლის მსგავსი არცერთ ხალხს არ მოეპოვება. ისინი უხსოვარი დროიდან დღემდე ჩვენს ხალხურ შემოქმედებას ბრწყინვალებას არ აკლებენ.“ საერთოდ, ქართულ ფოლკლორში მესხურ ზეპირსიტყვიერებას განსაკუთრებული ადგილი უკავია თავისი მრავალფეროვნებით, რადგან მხარის ისტორიამ თავისებურად განსაზღვრა მისი მდიდარი და ესოდენ მნიშვნელოვანი შინაარსი.

მესხურ ფოლკლორში თვალნათლივ აისახა ხალხის ყოფა-ცხოვრება, ჭირ-ვარამი. ავბედითმა ცხოვრებამ თავისი მტკივნეული კვალი დაამჩნია ხალხის სულიერ ცხოვრებას. ხალხური შემოქმედების ბევრი ნიმუში სწორედ იმ ტრაგიკულ ეპიზოდებს ასახავს, როდესაც თურქთა ბატონობის დროს, რჩეულ ქალწულთა ტყვედ გაყიდვა ხდებოდა:

„გზად რო ქალი დავიკარგე
განჯელ თათარსა ვყავარო,
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამე შუაში ვწევარო.
წინ ოქროს სინი მიდგია,
ზედ კვიცის ხორცი მიყრია,
მშიან და ვერ მიჭამია,
რჯული ვერა დამითმია,
ტალიკ-ტალიკო ვაჟკაცნო
მისადევ-მოსადევარნო,
მოკრიფეთ თითო თუმანი,
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.“

ლეკების მიერ ქალის გატაცება ისე ხშირ და შემზარავ მოვლენად ითვლებოდა, რომ სახუმარო ლექსებშიც კი აისახა ამ მომენტის შემაძრწუნებელი წარმოდგენა. ქალისა და მწყემსი ვაჟის სატრფიალო გაბაასებაში ჭაბუკი მშვენიერ ასულს სწყევლის, რომ ლეკებმა გაიტაცონ ის, რათა ქართველ ვაჟკაცს შესაძლებლობა მიეცეს თავის სატრფოს მტრისგან გმირულად განთავისუფლებისა.

„მეცხვარემ ქალი დასწყევლა,
სულ ამოიღო ძირითა,
ეს ქალი ლეკებს მიჰყავდეს
ტირილითა და ლხინითა,
დასახსნელად მივდიოდე,
თეთრი მიმქონდეს ქილითა,
დამეხსნას, წამომეყვანოს,
სიცილითა და ლხინითა“.

მესხეთის ტრაგიკულმა ისტორიამ მრავალი ლეგენდა შექმნა, რომელიც მოსახლეობაში დღემდეა შემონახული. ბევრი მათგანი ისე შეისისხლხორცა ხალხმა, რომ მის სინამდვილეში ეჭვიც არ ეპარება არავის, თუმცა, არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ გადმოცემის უმრავლესობა სინამდვილიდან არის აღებული. ზოგი რამ მიმატებული ან მოკლებული, მაგრამ ძირითადი, მომხდარი ლეგენდად ქცეული ფაქტი საუკუნეების ზეპირად მოტანილი, დღესაც ასაზრდოებს, ალამაზებს, აღაფრთოვანებს და სიამაყის გრძნობით აღავსებს ჩვენს გულებს. ეს გადმოცემები არა მარტო გვიხატავენ იმ დროის ჟამთა სიავეს, არამედ ჩვენში ზრდიან უსაზღვრო სიამაყის და პატრიოტულ გრძნობებს, თაყვანისცემასა და მოწიწებას წინაპართა მიმართ, ვინც თავგანწირვით იცავდა ჩვენს მოდგმას.

როგორ შეიძლება მშვიდად მოვისმინოთ თქმულება ხვილიშასა და ჩიხორიშზე. ჩიხორიში ნასოფლარია ასპინძასთან, მტკვრის ნაპირზე. სოფელში ულამაზესი ქალები ჰყოლიათ. მშვენიერ ასულთა ქებას სულთნის ყურამდე მიუღწევია. მზაკვარმა მტერმა ჯარი დასძრა მესხეთისკენ. დამპყრობელმა ცეცხლს მისცა ყველაფერი. მესხმა ვაჟკაცებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მაგრამ ვერას გახდნენ მრავალრიცხოვან მტარვალთან. მტერმა ააოხრა სოფელი. ქალები სულთანს მიჰგვარეს, მბრძანებელმა ერთ-ერთი მათგანი – თამარი, თავის ჰარამხანაში გადაიყვანა. ქალის სილამაზით მოხიბლული სულთანი მზად იყო მისთვის ყველა სურვილი აესრულებინა, თუმცა სამშობლოს მოწყვეტილმა ქალმა სიკვდილის მეტი აღარაფერი ისურვა. დარდით დასნეულდა. გარდაცვალების წინ კი სულთანს ერთი სურვილის შესრულება მოსთხოვა: „მიეტანათ მისთვის თავისი სოფლის წყალი.“ სასწრაფოდ გამოაგზავნა მარბენლები საქართველოში. ჩიხორიშის წყლით ავსებული დოქი წამოუღეს მომაკვდავ ქალს. მაგრამ გზაში წყალი მოსწყურდათ, მოსვეს დოქი, ნაკლული რომ არ ყოფილიყო, „ხვილიშის“ წყლით შეავსეს და მოართვეს თამარს. თამარი ხარბად დაეწაფა წყალს, დალია და გულდაწყვეტით წამოიძახა:

„რა კარგი ხარ ჩიხორიშო,
არ გერიოს ხვილიშაო.
ვიცი, ველარ მოვესწრები,
რომ დავლიო სულ ისაო.“–
თქვა და სული განუტევა,
ჩაქრა მისთვის მზე და მთვარე,
თამარს ჩაჰყვა სპეტაკ გულში
რაც გადახდა დღენი მწარე“.

შთამბეჭდავი ლეგენდაა შექმნილი თმოგვის ციხეზე. გადმოცემაში ერთიმეორეს უპირისპირდება სიკეთე და ბოროტება, გმირობის განუმეორებელი მომენტები, გმირობისა, რომლის წინაშე მტერიც იჩოქებს. ამ ლეგენდასვე უკავშირდება ნასოფლარ დამკალის სახელწოდებაც. „მტერმა ალყა შემოარტყა თმოგვის ციხეს. ციხე ძლიერ გამაგრებული იყო. დამპყრობელმა ვერ შეძლო მისი აღება და მიმართა მზაკვრულ ხერხს.


ვალერიან მაღრაძე და მიხა ჯვარიძე


ნახ. რეზო გვირჯიშვილისა

საკანში ისრით შეაგდო წერილი, სადაც იმყოფებოდა ციხის თავის – სარგის თმოგველის მშვენიერი მეუღლე თამარი. წერილში მტრის სარდალი ქალს ხონთქრის ცოლობას და უამრავ საჩუქრებს პირდებოდა თუ ციხის კარებს გაუღებდა. ქალი შეცდა. მისი ღალატი ძვირად დაუჯდა თმოგვის ციხეს. განადგურდა და გაპარტახდა იგი. ციხის თავმა ცოლის ღალატი ვერ აიტანა და მტრის ხელში ჩაგდებას, მაღალი ქარაფიდან ცხენით უფსკრულში გადაჩეხვა არჩია, მშვენიერი ვაჟკაცის გმირულმა სიკვდილმა და ქალის მუხანათურმა საქციელმა სამართლიანი განსასჯელის წინაშე დააყენა მტერი:

„მოღალატე ქალი ფლიდი,
წაიყვანა თათრის ჯარმა,
გზად ათრიეს ცხენის კუდით,
ზედ აფურთხა მთელმა ჯარმა.
ფქვილიც მუდამ აქვთ დაფქვილი,
ცხვარიც ბევრი ყავთ, ძროხაცა
და ხალხი ღონიერია“.

ისეთ სარდლის მოღალატე
განა სულთნის ღირსი არის?
შვილს გაჰყიდის, ძმას გასწირავს,
მწარე ტანჯვის ღირსი არის.
ცხენს მოაბეს ტანშიშველი,
ათრიეს და ხორცი წიწკნეს,
„დამკალითო!“ დაიძახა,
მაგრამ თრევით სულ დაწიწკნეს“.
ასე გაჩნდა გოგაშენთან
დასახლება „დამკალიო“,
ხალხი გაწყდა, მაგრამ დარჩა
ნასოფლარი „დამკალიო“.

მესხეთზე ბევრი სოფლის სახელწოდებაზე შექმნილი ლეგენდა იმ უტყუარი ისტორიული უბედურებების შედეგია, რომელსაც ადგილი ჰქონდა თურქების ბატონობის პერიოდში. „ვერანა“, „ნაოხრები“, „ოხერა“, „ნაქალაქევი“ და სხვა მრავალი, სწორედ ამაზე მიუთითებს. დაუსრულებელ რბევა-აწიოკების მიუხედავად, ხალხს ბევრი სახუმარო, სატრფიალო, სახოტბო ლექსი შეუთხზავს. გაულექსია მესხური სოფლების ბარაქა და ხვავი, მისი მდებარეობა, სილამაზე და სხვ.

„ბალანთა მშვენიერია,
ზაფხულშია ძლიერ კარგი,
მოსავალსაც არა უშავს,
„ბარალეთი ლამაზია,
წყალიც აქვს და ხიდიცაო,
ყველა ქალი გაიხარებს
პატარაც და დიდიცაო.“
„პური კლდეს, ღვინო ბოგასა,
თევზი მოჰკითხე ტობასა,
წითელი ვაშლი თუ გინდა, –
გაღმა-გამოღმა წყორძასა“.
„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა.“

ფოლკლორი ხალხის ის ამოუწურავი სიბრძნეა, რომლის მხრებზეც დგას ერის წარსული, ანმყო და მომავალი, მისი ისტორია, მისი სულიერი კულტურა. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის შეგროვებას. ჩვენ, ფოლკლორის მკვლევარები, მზად ვართ სამსახური გავუწიოთ ჩვენს ერს მისი ისტორიისა და კულტურის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

შეუღობავი, ყოველგვარი საზღვრის გარეშე. მთიანი ზონის ქვიან საზღვრებს ვუახლოვდებოდით, რომელიც პლატოს დასავლეთიდან ესაზღვრება. ღარიბულ სოფელ აბულში ქვებს შორის წივის წყებები შემოულაგებიათ ერთმანეთზე.

თუკი მთას ახალქალაქის მხრიდან გაჰყურებ, იგი ორი ნაწილისაგან შემდგარ მასად მოსჩანს. გრძელი ღარი მწვერვალამდე აღწევს და ზედაპირს ორ ნაწილად ჰყოფს. თითოეული ნაწილი მკვეთრად გამოხატული მწვერვალითაა დაბოლოებული; სამხრეთის ნაწილს ერთი მწვერვალი აქვს და საგრძნობლად დაბალია, მის მაღალ, მეზობელ ნაწილს კი ჩრდილოეთით, როგორც ჩანს – ორი მწვერვალი. სინამდვილეში ეს ორმაგი მწვერვალი მესამე წვერის თავს მალავს, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდანაა შესამჩნევი.

სამნაწილიანი მთა თავის ნაკლებად შემაღლებულ მეზობელ მწვერვალს მოზრდილი უნაგირათი უკავშირდება, რომელიც მისი ყველაზე მაღლა მდებარე ნაწილია. აბულის კალთები მის ვულკანურ წარმოშობაზე მიუთითებენ, რომლებიც ბარისაკენ გრძელ სილუეტებად ეშვებიან. ყველაზე გრძელი უფრო ჩდილოეთით მდებარე მწვერვალიდან დასავლეთით ეშვება და მოგრძო ზურგის ან ქედის ფორმა აქვს.

ფერდობზე ყველაზე ციცაბო ადგილი უშუალოდ მწვერვალის ქვემოთაა, რომელიც ჩრდილოეთისკენაა მიმართული. იგი დახრილია 30 გრადუსიანი კუთხით. სოფელი აბული მდებარეობს დასავლეთ კალთის სამხრეთით და წარმოადგენს მოსახერხებელ საწყის წერტილს, საიდანაც მის ფერდობზე ადვილადაა შესაძლებელი ასვლა.

თუმცა, ჩვენმა მეგზურმა, ის კი არ ვიცი რაზე დაყრდნობით, დაგვარწმუნა, რომ ასვლისთვის შესაძლოა ორი დღე მოგვენდომებინა. ამიტომ სოფელი დავტოვეთ, რომ მთის სამხრეთი ნახევრის ძირისათვის მოგვევლო, რომლის გვერდებს 18 გრადუსიანი დახრილობა აქვთ.

მას შემდეგ, რაც მთას შემოვუარეთ, შევძელით ცხენებით სხვა ფერდობების ბალახით დაფარული მაღლობისთვის მიგვეღწია. ასეთი ზედაპირი საკმაო სიმაღლემდე ვრცელდება და, შესაძლოა, ეს იყო საბაბიც, რომ ჩვენს წინამძღოლს ასეთი გრძელი გზით წამოვეყვანეთ. ამ საძოვრებიდან კლდეების გავლით დიდრონი და უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე მთის მასის ქიმებამდე საათნახევრიანი სავალი გზა იყო. ცხენები უკან გავაბრუნეთ, რომ მერე იქითა მხარეს დაგვხვედროდნენ, რადგან გადავწყვიტეთ, რომ დასავლეთის ქედზე დავშვებულიყავით.

სომხეთის მთიანეთის მთელ სიგრძეზე-სიგანეზე, რომელიც თავად ინდოეთსა და ხმელთაშუა ზღვას შორის აზიის ხიდის ყველაზე მაღალ მონაკვეთს წარმოადგენს, ალბათ, არ არსებობს მწვერვალი, გარდა არარატის მწვერვალისა, საიდანაც ხედი ერთდროულად არის ასე შორეული, ასეთი ვრცელი და საინტერესო, როგორც ეს, რომელიც აბულის სამმაგი მწვერვალიდან ყოველი მხრით იშლება. აბიხი ამას უწოდებს ხედს, საიდანაც არარატს თუ არ ჩავთვლით, „სომხეთის მთიანეთი ყველაზე ვრცლად მოსჩანს„ (Abich, Geologische Forschungen in den kaukasischen Ländern, ვენა, 1887, წიგნი III. გვ. 39). მაგრამ ცოტას თუ რგებია ან, ალბათ, ოდესმე ერგება იმის ბედნიერება, რომ მიაღწიოს სამყაროს დამბადებლის მწვერვალს ისეთ პირობებში, რომელიც სრულიად ხელსაყრელი იქნება ასეთი ხედის სანახავად. და სამყარო ასეთი სიმაღლიდან მეტად უმნიშვნელო მოსჩანს.

თქვენ დგახართ სცენაზე, რომელიც მბრძანებლობს ახლო აზიის რელიეფის ფორმებზე, ისე, რომ, არ ამცრობს ამ დიდებული სტრუქტურის პროპორციებს და არ არღვევს ამ მრავალფეროვანი ფორმების უკიდეგანო წყობას. შენს წინაშე იშლება დაბლობი თავისი ღია პეიზაჟებით, სადაც ბარიდან ამოიზიდება ბორცვები, ეს შემაღლებები მომრგვალო მთაგრეხილებად იქცევა, თაღოვანი მთაგრეხილები კი ალაგოზისა და არარატის კამარებად ლივლივებენ, რომლებიც მარადიული თოვლითაა დაფარული. მოსაზღვრე ქედების ბუნდოვანი მოხაზულობები იდუმალ სურათს ეკვრის გარს. და შორეთში, პირქუშ ფონსა და მზის სხივებით სავსე და გასხივოსნებულ სივრცეში, ჩამოქუფრული ჯანღის ფენებში, კავკასიონის თვალუწვდენელ სიმაღლეებზე დაფენილი თოვლის ალისფერი ციალი ირეკლება.

(გაგრძელება იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან ბერიძემ

მატიანე

სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე ადიგენის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკებთან. 1974 წელი. სურათი მოგვაწოდა ნოდარ გოგრიჭიანმა

მადლობა

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ბიზნესმენმა **გელა ლონდარიძემ** და ფინანსური დახმარება გაუწია გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს," რისთვისაც რედაქცია დიდ მადლობას უხდის.

უმაღლესი სკოლა

გამოდის პირველად



თანამედროვე სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია შეჯიბრებითობის პრინციპი. ბრალმდებელი და დამცველი ერთმანეთს ეპაექრებიან და ცდილობენ თავიანთი სიმართლე ამ გზით გაიტანონ. ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საჭირო სამართლებრივი ფაქტებისა და მასალების ფლობას, არამედ საკუთარი პოზიციის მარჯვედ წარმოსაჩენად სიტყვიერი მარაგის სიუხვეს, ორატორულ წრთობას. არადა დღემდე არ არსებობდა არავითარი საამრიგო სახელმძღვანელო, წიგნი, რომლის მიხედვითაც იურისტი თავის სამჭევრმეტყველო უნარს გაიძლიერებდა, მოსამართლის წინაშე დამარწმუნებლად იმსჯელებდა.

იურისტთა განათლების გზაზე არსებული ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე იზრუნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ. სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა, მომზადებულიყო სასწავლო წიგნი-ქრესტომათია, რომელშიც სასამართლო და დიპლომატიური მჭევრობის შედევრებიც შევიდოდა და მათი სათანადო კომენტარებიც, ასევე თავისი ადგილი დაეთმობოდა სამეცნიერო აპარატს: სამეტყველო ქცევას, მეტყველების სამკაულებს, კომუნიკაციის ისტორიას; საგანგებოდ იქნებოდა გარჩეული სამი კოლხი ორატორის ბრწყინვალე გამოსვლები; საგანგებო ყურადღება მიექცეოდა შესავალი და დასკვნითი სიტყვის მეთოდიკას; დიდად წაადგება საქმეს ისიც, რომ ფოლიანტს ერთვის საორატორო ლექსიკონი, პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საუბარი და ფიგურული სიტყვა-თქმანი.

პოლიტიკური და სამართლის მჭევრმეტყველების სანიმუშო მასალები გულმოდგინებით შეირჩა და ენობრივ-სტილისტურად საგანგებოდ დაიხვენა.

ამ ტიპის ქრესტომათიული ნაშრომი პირველად გამოდის. მისი საერთო რედაქტორია აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი. წიგნზე მუშაობდნენ პროფესორები: ირაკლი გაბისონია, ვაჟა პაპასკირი, ჯემალ გაბელია, მურმან თავდიშვილი, დავით ხუფენია.

იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტებს მართლაც რომ დიდებული საჩუქარი ეღირსათ. ახლა მათ შეუძლიათ უკეთ გაშალონ თავიანთი სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობა.

გურამ წიკლაური
მურმან თავდიშვილი

ფოლკლორი

***

გლეხკაცმა უთხრა გუთანსა,
გამოზაფხულდა ტიალო,
გასწი, გამიძეხ ყანაში,
თორემ გადგისვრი ფრიალოს.

– რად მიჯავრდები პატრონო,
ნეტავი რისთვის წრიალობ,
როდის არ მიხნავ-მითესავს,
ახლა ბანზე რომ ღრიალობ.

***

ხარმა თქვა: გუთნისდედამა
მაშრომა, განა მამღერა,
ქედზე უღელი დამადგა,
უფალმა ჯვარი დამწერა.

ყანა გავტეხო, ყამირი,
ჩემი ცხოვრების წესია,
ოფლი წურწურით მდიოდა,
ერთიც არ დამიკვნესია.

***

გლეხო, მარჯვენას გიკურთხებ,
დაკოჟრილო, გონიერო,
პური, ღვინო დაგელოცოს,
გარუჯულო, მშვენიერო.

***

მესხნი საომრად ვიყავით,
ვაჟკაცნი ლომსიისანი,
უცებ მოგვესმა ხმაური
მაღალი ციხის კლდისანი.
ფარ-ხმალი გვქონდა, ვიხმარეთ,
რად უნდა ბევრი მისანი,
საღამომდინა დავწყვიტეთ,
ლაშქარ-ურიცხვნი მტრისანი,
წმინდა გიორგი გვიძღოდა,
გვფარავდა მადლი ღვთისანი.

***

ზეკარის მთიდან მოვდივარ,
ბილიკად მქონდა გზა-წვრილი,
ერდოზე ქალი გადმოდგა,
შავ-თვალ-წარბა და წელწვრილი.
გულს ნუ მამიკლამ, ჭირიმე,
ცოდო ვარ კაცი ყმაწვილი.

***

ერდოზე გადმომდგარიყო
მესხი, ლამაზი ქალიო,
უელვარებდა თვალები,
თმებს უწეწავდა ქარიო.

თვალით მანიშნა: შემოდი,
სახლში არაა ქმარიო,
ახალციხეში გაიქიცა,
მონახა სომხის ქალიო.

ქმარს აღარ ვჩივი, ბეჩავსა,
თავს მოხვედრია ქვანიო,
მოღალატისგან მიხსენი,
შენ დამიმშვენე მხარიო.

ქალოჯან, გითხრამ კარგ რამეს,
მოგიკლეს შენი ქმარიო,
სამაღარიჩოდ მამეცი
ცხვარი, ძროხა და ხარიო.

მერმე კი დავწვეთ ერთადა,
არ შევირცხვინო თავიო,
დილამდე ვისიყვარულოთ,
ჩვენზე ალალი არიო!

***

ჩემი ამბავი გაიგეთ,
ცოდო ვარ და შესაბრალი,
კაცს ვათხოვე, მეზობელსა,
გუთანი და ერთი ხარი.
მთელი კვირა თვითონა ხნა,
მე კი დამრჩა ერთი კვალი.
თვალები ამომევსება
ცრემლებით დანაღვარებსა!
განა შემიცვლის ბედმწარეს
მბობა ამბების მე სხვისა,
რაღაა ჩემი სიცოცხლე,
გადაკარგული მესხისა!

***

მტერს უნდა მედგრად უტიო,
საკადრისს შესაფერია,
ვისაც კი ომი აშინებს,
კაცად ის არაფერია!
აღარც ჩაიცვას აბჯარი,
არც მუზარადი, ხმალია,
ვაჟკაცად არ გამოდგება,
თუნდაც შეიბას რვალია.
შორით უმზიროს დედამა,
შვილს, მტერზე გამარჯვებული,
იქმოდეს კეთილ საქმესა
გონება დაწყნარებული,
ვერ აშინებდეს სიკვდილი
სიცოცხლე გამწარებული.

მთქმელი იოსებ გიქოშვილი,
89 წლის, ახალციხის
მუნიციპალიტეტის სოფელი ივლიტა.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა
2023 წელს

სამძიმარი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია უსამძიმრებს საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორს ვალერიან ლომიძეს მეუღლის

ლია ბიბილაშვილი-ლომიძის

გარდაცვალების გამო

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com